

# საქართველო

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების  
ყოველთვიური ორგანო.

“ LA PATRIE ”

L'organe de la démocratie nationale géorgienne

პარიზი. ნოემბერ-დეკემბერი 1929 წ.

N° 5-6

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

1. ისევ «საერთო ფრონტის შესახებ» . . . . .
2. პოლიტიკური თვითმკველელობა და პარტიული გაყმაწვილება.  
აღ. ასათიანი.
3. ქართველი მენშევიკები და საქართველოს დამოუკიდებლობა.  
შ. ამირეჯიბი
4. რა შიგან ვართ? . . . . . ტიტე მარგველაშვილი
5. წერილი ბერლინიდან. . . . .
6. საქართველოს ისტორია პოლნურენაზედ. . . . . ჯორჯი.
7. ქართველები გერმანიაში. . . . . ქუ—ლი.

გამომცემლობა „საქართველო“ ვალანტინის





ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ორგანო.

L'organe de la démocratie nationale géorgienne "LA PATRIE"

პარიზი. ნოემბერ-დეკემბერი.

N<sup>os</sup> 5 et 6

Paris, Décembre 1929

## ისეგ «საერთო ფრონტის შესახებ.»

მენშევიკების «ბრძოლის ხმა» აშკარად იმიჯნება მისი წინაპრისაგან, რომელსაც «ბრძოლა» ერქვა და რომელიც იმავე მენშევიკური ბიუროს ორგანო იყო. მას ახალი გეზი აქვს აღებული, ახალი გარეგნობა აქვს მიღებული და სიტყვა-პასუხიდაც დიდათ განსხვავდება ნეტარ ხსენებული მისვალებულისაგან.

მაგრამ იყო ერთი ისეთი საკითხი, რომლის შესახებ განსვენებულმა ვერ მოასწრო თავისი აზრის წარმოთქმა და მისი მეგვიდრე მას ვერ აუხვევს გზას. ეს საკითხია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ სატოვება ვერცდ წოდებული «საერთო ფრონტი»-სა.

ამ საგანზედ ჩვენმა პარტიამ და მისმა გ. მოცემებმა ფრიად მრავალ რისხვანი და ფრიად მნიშვნელოვანი ბრალდებები წარუდგინა მენშევიკურ მთავრობას, ბიუროსა და სხვა ასეთს დაწესებულებებს. ამბავი სწორედ მაშინ მოხდა. როდესაც «ბრძოლა» ლოგინად იყო ჩაჯარდნილი, რამაც ექვს თვეზედ მეტი გასტანა. ამბობენ, რომ ამ ლოგანად ჩაჯარდნის ერთ ერთი მიზეზი ეს ამბავიც იყოფო, მაგრამ ეს შესაძლოა ჭორი იყოს.

ეხლა განსვენებული «ბრძოლის» ხმა და გამომძახილი გვაძლევს პასუხს ამ საგანზედ, მაგრამ ასეთს პასუხს ვგონებ კიდევ მდუმარება ამჯობებდა. მართალია თუ არა რომ მენშევიკურმა ხელმძღვანელობამ თავიდანვე დაიწყო საერთო ფრონტის ძირის გამოთხრა, გააყალბა და გააბათილა ყველა შეთანხმებები, რომელიც დადებული ჰქონდა პარტიებთან და ბოლოს ამ «საერთო ფრონტის» უბრალო დეკორაციის შენარჩუნებას შეუძლებელი გახადა? მენშევიკური განეთი არავითარ პასუხს არ იძლევა ამ ბრალდებებზედ. ამ კითხვებს ის გვერდს უხვევს, ამ კითხვებს ის არც ეხება არსებითად. ეს სავსებით გასაგებია, რადგან მათ საპასუხობარა აქვთ რა, ვანაიდან ყველა საბუთები მათ წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებებს ადასტურებს.

მაგრამ მენშევიკური განეთი თუ გვერდს უხვევს საკითხისარსებითს მხარეს, სრულს მდუმარებასაც ვერ ჰბედავს და ამ საკითხის გარეგნული



მხარის იუმორიულად დასაბუთებით არის გართული და მით ფონს გასვლას ცდილობს. «ბრძოლის ხმა» სწერს: «სამშობლოს ბანაკში დიდი ხმაურთბაა; აქ თავი მოუყრია ნაპოხალ-დემოკრატების მორიგ ჯგუფს, საერთო ფრონტიდან გასულთა მეორე სერიას და დიდი სურვილებით შეკაზმულნი ბრძოლის ველზე დამწყკრივებულან. პირველი ასეთივე სერია გადავა ამ ოთხი წლის წინეთ სპ. კედიას მეთაურობით, გამოსცენ ყურნალი «სამშობლოსათვის» და დაგვიშინეს ყუმბარები. ამ თავხედობისათვის ეს ჯგუფი იქმნა დაგმობილი და თვით კედია პარტიიდან გარიცხული სწორედ მათ მიერ, ვინც დღეს კედიას გზას გაყვავა.»

ყოველივე აქ მოხსენებული სიყალბეა და ჭორი გარდა იმისა, რომ ეს ყურნალი «სამშობლოსათვის» მართლაც იყო გამოცემული ამ ოთხი წლის წინეთ. და განა მენშევიკურმა ბიურომ არ უწყის, რომ ყოველივე ეს სიყალბეა? რასაკვირველია, ყოველივე ეს მან კარგად უწყის, მაგრამ ის ჰფიქრობს, რომ ფართე საზოგადოება არ იცნობს საქმის სრულს ვითარებას და ამის გამო ასეთი ჭორებიც საკმარისად მიაჩნია სიტყვის ბანხედ ასაგდებად.

ჩვენ აქ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეხლანდელი კარიკატურული «საერთო ფრონტი» თავს ვეოიმართლებს იმ ბრალდებებისაგან, რომელიც ჩვენ მათ წაუყენეთ და ამის შემდეგ გავაქარწყლებთ იმ პატარა ჭორებს, რომელიც მოჰყავს «ბრძოლის ხმას», ვითომდა თავის გასამართლებლად.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი პარტიის საერთო ფრონტიდან გასვლას არა ჰქონია არავითარი სერიები, არც პირველი და არც მეორე, არამედ იყო ერთად ერთი ოგანიზაციული გასულა «ფრონტიდან» და ეს იყო ამა წლის გაზაფხულს. სერიები ჰქონდა მეორე საქმეს. ეს იყო შეთანხმების პირობების შემუშავება, მისი გაბათილებულად აღიარება და ახალი პარობების შემუშავება, მისი ხელახლა დარღვევა და სხ. და ამ დაუსრულებელ სერიებს ჰქონდა ადგილი იმის გამო, რომ მენშევიკური ხელმძღვანელობა ფაქტიურად არასოდეს არ უწყევდა ანგარიშს იმ შეთანხმებებს. რომელთაც ის ხელს აწერდა. ამის გამო იყო მუდმივი ძიება ჩვენს მხრივ ახალი გარანტიებისა და ახალი ფორმულების და ამის გამო 1922 წლის შემდეგ თითქმის ყოველწლიურად იწერებოდა ეს შეთანხმებები.

უკვე აქედან სჩანს, რომ ჩვენს პარტიას ნაჩქარევად და მსუბუქად არ გადაუწყვეტია «საერთო ფრონტის» დატოვების საკითხი. ჯერ ერთი რომ ეს საერთო ერთგული ფრონტი არა მარტო იდეით იყო მისი საქმე, არამედ პრაქტიკულად იყო მის მიერ დაფუძნებული საქართველოში, 1922 წელს. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მენშევიკური ხელმძღვანელობა ძირითხრის და აბათილებს საერთო ფრონტსა და მის შეთანხმებებს. პარტიასი შემუშავდა მტკიცე შეხედულობა, რომ მენშევიკურმა ხელმძღვანე-



ლობამ შეუძლებელი გახადა შეთანხმების განადგება და ნამდვილი საერთო ფრონტის დამყარება, ხოლო ის რაც აამყარა ამის ნაცვლად იყო ყოველად მიუღებელი და შეუწყნარებელი. საქართველოში ასეთი აზრი გაბატონდა ჩვენს პარტიულ წრეებში გაძლიებით ადრე, ვიდრე ყურნალი «სამშობლოსათვის» გამოვიდოდა. ხოლო ემიგრაციაში 1924 წლის შემოდგომიდან და 1925 წლის გაზაფხულზედ წაკითხულ იქმნა ჩვენს ორგანიზაციებში ვრცელი მოხსენებები ამ საგანზედ და ამ მოხსენებათა ასეთი და სკვენები ერთსულოვნად იყო მიღებული. ასე რომ ესლანდელი «საერთო ფრონტის» უარყოფა და მიუღებლობა არ ყოფილა დროშა სპ. კედიასი, ამირეჯიბ-გაბაშვილის, თუ რომელ აქვე სხვა ერთი პიროვნების, არამედ ეს იყო მთელი პარტიის აზრი, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ყურნალ «სამშობლოსათვის» შემდეგ, ერთი წლით გვიან შესდგა ჩვენი ორგანიზაციის უკანასკნელი შეთანხმება მთავრობასთან და ამ შეთანხმებას ხელს აწერდა და მხარს უჭერდა ს. კედიასი, როგორც სხვანი ყველანი. უკვე აქედან ნათელია თავის თავად, რომ ყურნალ «სამშობლოსათვის» მიერ ნაწარმოებ კომპანიისათვის და მენშევიკებზედ «ყუმბარების» დაშენისათვის და სხვა ასეთი «თავხედობისათვის» ჩვენს ორგანიზაციას არავინ დაუხსჯია.

ამ რიგად ჩვენი პარტია მუდამ იმ აზრისა იყო ერთსულოვნად, რომ განმათავისუფლებელი ეროვნული ბრძოლის წარმოებისათვის ღირსეულად და მიზანშეწონილად, საჭიროა და აუცილებლად საჭირო ყველა საიმედო ძალთა შემოკრება და დარაზმვა. ასევე ერთსულოვანი შეხედულება შემუშავდა ჩვენს პარტიაში იმის შესახებ, რომ მენშევიკურ მეთაურობასთან არ მოხერხდა და არ ხერხდება ასეთი ერთობისა და პატიოსნური კავშირის დამყარება. ამ ს შემდეგ ბუნებრივად ისმებოდა ერთი საკითხი რომლის შესახებ უკვე აღარ იყო ერთსულოვნობა ჩვენს პარტიაში. ეს საკითხი იყო შემდეგი: დასტოვოს თუ არა პარტია მეს ყოველად მიუღებელი კავშირი და თუ დასტოვოს, როდის? ერთი ნაწილი პარტიისა ჰფიქრობდა, რომ საჭიროა ამ კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტა და დამოუკიდებელი მოქმედების დაწყება საშინაო და საგარეო ასპარეზზე. მეორე ნაწილი კი იმ აზრისა იყო, რომ სანამ პარტიას არ აქვს შემზადებული ასეთი დამოუკიდებელი მუშაობის ნიადაგი და საშუალება, სჯობს ამ კავშირის გაგრძელება და მისი პირობების კავშირებისათვის მუშაობა. ამაწლის გაზაფხულზედ მეორე აზრის მატარებელნიც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი კავშირისა და ფრონტის არსებობა უკვე მეტად მავნე ხასიათსღებულა ჩვენი ეროვნული საქმისათვის და რომ მისი შეკეთებისა და გაუმჯობესების საშუალებების სახეებით ამოიწურა. მენშევიკური «ბრძოლის ხმა» დღეს სწორედ ამ პირობებს ეკამათება და როგორ ჰფიქრობთ, რას უსაყვედურებთ? თქვენ პირველ აზრს ეხლა მიემხრეთ და არა უფრო ადრე, თქვენ მეტი ნდობა გამოუტანადეთ მენშევიკურ ხელმძღვანელობას და მი-




სდამი მეტი მოთმინება გამოიჩინეთ. სხვაფერ გაუგებარია მენშევიკური გაზეთის ამგვარი თავის მართლება.

კიდევ უფრო უცნაურია მენშევიკური მთავრობისა და პარტიის გამართლება ინგლისის მაგალითებით. მაკდონალდს მხარს უჭერენ საგარეო საქმეებში კონსერვატორები და ლიბერალები და ამიტომ თქვენს ასე რად არ შერებთ? ასეთი საბუთი იმ დანას ჰგავს, რომელიც ქათამმა გამოჩხრიკა თავის დასაკლავად. განა ცოტა მხარი მოგეცით საწინაო თუ საგარეო ასპარეზზედ წინეთ, თუ მას უიმედვე რაც საქართველოს არსებობა მოინგლეთ და მოსპეთ? მაკდონალდი სულ უმნიშვნელო საკითხზედ ჩამოგდეს პირველად და შეიძლება ასევე მოხდეს ესალ. ასეთია დემოკრატიული წყობილების წესები. ხოლო მაკდონალდს რომ ინგლისი წაეგო და გემით გაქცეულიყო, განა თქვენ იჭვი გაქვთ, რომ მას იმავე გემის ანძაზედ ჩამოაკიდებდნენ? თქვენ კი საქართველო დაღუპეთ და მაინც ოქრო-ვერცხლით დატვირთული გამოგისტუმრეთ და მათ შემდეგამავე დაღუპვის გზით მიდიხართ და როდესაც დიდის რაგვიანებით გზორდებიან ყველანი, უსაყვედუ ზებთ: მაკდონალდს მხარს უჭერენ და ჩვენ რად «გვლაღობთო!» თქვენი საბუთებიც ისეთივე უკუღმართია, როგორც ყველა სხვა ზნენი და საქმენა თქვენნი.

## პოლიტიკური თვითმკვლელობა და პარტიული გაყმაწვილება.

ქართველ მენშევიკების ახალს ორგანოში («ბრძოლის ხმა») მოთავსებულია მენშევიკურ ბიუროს მემორანდუმი. ეს გამოსცემა თავის თავად და მემორანდუმიტურთ ფრიად საყურადღებო მოვე უნას წარმოადგენს ჩვენს პოლიტიკურს ცხოვრებაში და მასთან ერთად ფრიად სამწუხაროსა და საზიანოს. ამავე ურთს ის საუკეთესო პასუხია იმათთვის, ვინც კიდევ ჰფიქრობს გულუბრყვილოდ, რომ ამ მენშევიკურმა მთავრობამ შეიძინა და შეითვისა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რაიმე ცოდნა და გამომდილება უამრავ მარცხების შემდეგ საქართველოსა და ემიგრაციაში. ჩვენს საზოგადოებაში კიდევ მოიპოვებიან აქა იქ ისეთი პირები, რომლებსაც სჯერა მათი ასე ვთქვათ გასახელმწიფოებრივობა იმ მი საზრებით, რომ მათ ამოდენა მარცხი შეამთხვიეს ერს და ეს შეიგნეს, ამოდენა მაგალითებს ხედავენ ევროპაში თვით სოციალისტური მინისტრებიდანაო და სხ. ასეთი მოსაზრებები უთუოდ არ არის მოკლებული ლოღიკას. მაგრამ, სამწუხაროდ სინამდვილე და მისი უამრავი ფაქტები სულ სხვას გვიმტკიცებს. ამ





ხალხზედ არ მოქმედობს არც სხვა ერებისა და არც ევროპის სოციალისტების მაგალითები. ისინი სულ სხვა ჯიშისანი არიან და მაკდონალდს არსებითად გაპილენებით ნაკლებად ჰგვანან, ვიდრე მაკდონალდი თუ მიუღწევი მუსოლინი.

ვინც კიდეც არ არის სახეებით დარწმუნებული ამ სამწუხარო მოვლენაში, მათ ამ მენშევიკურ მეთაურობის სიტყვასა და საქმეს უნდა ადევნონ თვალი დაკვირვებით. თვით იმათგან დაინახვენ და გაიგონებენ ყოველივე იმას, რაც მათ კიდეც არ სჯერათ. ეს მათი ახალი გაზეთი და მემორანდუმი ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა. ეს იქნება ის მძირე სარგებლ აბა რომელსაც მოუტანს ეს გამოსემა ქართულ საზოგადოებას ფრიად დიდს ზარალთან ერთად.

მენშევიკური ბიუროს მემორანდუმის ამომწურავ განხილვას მკითხველი იპოვის შ. ამირჯიბის წერილში, რომელიც აქვეა მოთავსებული. ჩვენ აქ მხოლოდ ერ თ საკითხს შევეხებით. ეს საკითხი იგივე სოციალისტების და კომინტერნის საკითხია, ხოლო ჩვენს ქართულს სინამდვილეში. არავისათვის არ იყო საიდუმლო, რომ საქართველოს მთავრობა არის მენშევიკური ბიურო და ბიურო კიდეც მთავრობა. ასევე კომინტერნ-სოციალისტების საქმეც, ხოლო მათ იმდენი ჭკუა შესწევთ, რომ ამას საქვეყნოდ მიიჩი არ აღიარებენ, რადგან რამდენიმედ კიდეც უწევენ ანგარიშს საერთაშორისო სახელმწიფოებრივ წესებს. ჩვენი კომინტერნი ასე არ იქცევა და საქვეყნოდ აცხადებს, რომ «საქართველოს სოციალი-დემოკრატიული მთავრობა დგას სოც-დემ. პარტიის მიერ გამომუშავებულ პოლიტიკურ ხაზზე და ცდილობს ის გაატაროს იმ საშუალებებით და იმ სფეროში, როგორც მას მოეპოვება და სადაც კი მიესვლება. ამ პოლიტიკის ძირითადი დებულებანი ანუსხულია და განმარტებული ამ მემორანდუმში.... უცხოეთში ამ ბრძოლას აწარმოებს სოც-დემ. პარტიის ბიურო და სოც-დემ. ნაციონალური მთავრობა.... ჩვენი პარტია დგას საბჭოთა კავშირში ყველა სოციალისტური პარტიების შეთანხმების ნიადაგზე», და სს....

საყურადღებოა აქ უწინარეს ყოვლისა, რომ მემორანდუმი, მენშევიკური ბიუროს ქმნილება, ევროპაში სცნობს მხოლოდ ორს დაწესებულებას: მენშევიკურ ბიუროსა და მენშევიკურ მთავრობას, რომელიც ამ ბიუროს დირექტივებით მუშაობს, ანუ უფრო სწორედ რომა ვთქვათ, ამ ბიუროს ხელქვეითი ორგანოა. მაშასადამე ეს პატივცემული დაწესებულებანი არამც თუ არ სცნობენ სხვა ორგანიზაციებს, რომელნიც მათ გარეშე მუშაობენ, არამედ ისინი აღარ სცნობენ იმ «ეროვნულ ცენტრსაც» თუ «საერთო ფრონტს» რომლის უზენაესს და უბუძვლავეს მნიშვნელობაზედ ყაყანიო მთელს მსოფლიოს აბრუებდენ სულ უკანასკნელ დრომდე. აქედან



უნდა დავასკვნათ, რომ ამ «საერთო ფრონტში» მყოფი რამდენიმე პირი, რომელნიც თავის თავს მენშევიკებათ არ სთვლიდენ, აყვანილი არიან ამიერიდან ამ ხარისხში, ან და ყოველივე საქმიდან განდევნილი.


მაგრამ ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს. ეს «საერთო ფრონტი» რომ დაშლილია ფაქტიურად უკვე იმ წუთიდან, რა წუთში ის ჩვენმა პარტიამ დასტოვა, ეს ყველასათვის ნათელი იყო. ხოლო მენშევიკები არ აღიარებდნენ ამას ახდლიად. საქმე ის არის, რომ თვით ამ მთავრობის შესახებაც გამომწეურებულა ისეთი ვითარება, რომელიც მასაც გაბათილებულად ხდის.

ქორდანის მთავრობა კარგა ხანია რაც მოკლებულია მრავალ სმიუპილე ბელ დასაყრდნობს. მაგრამ იყო წრე, რომელიც კიდევ აკუთვნებდა მას ამ წოდებას გარეშე მისი ფაქტიური და ფორმალური მდგმარეობისა. მართალია ეს წრე თანდათან ვიწროვდებოდა შინ და გარეთ, მაგრამ ის კიდევ არსებობდა. ასეთი მდგომარეობის კვლავ შენარჩუნებისათვის უწინარეს ყოვლისა მდუმარებისა და მყუდროების დასვა იყისაჭირო. ამის ნასვლად მენშევიკურ ბიურომ გადაქეცა ეს მთავრობის მდგომარეობის საკითხი დაქვეყნას ანონა, რომის მისი ხელწევდ მოსამსახურედ არის გადაქეული და რომ ამ მთავრობას ეს ბიურო ჰყავს თავის ბატონ პატრონად. ხოლო ვინ არ იცის რამდენად სვალეზადია პარტიული ბიუროების შემადგენლობა თვით ნორმალურს დროსაც და რამდენათ უპასუხისმგებლოა ეს ბიურო ერის უფლებრივისა კითხვების გადაჭრისათვის და რამდენად უკონტროლოა ის ყოველ მხრივ ასეთი საქმეების შესახებ.

ისტორიას არ ახსოვს მაგალითი, როს ასეთი ორგანოს ხელქვეითს მთავრობა წოდებოდეს. ამ რიგად ეს სოსიალ-დემოკრატიული ბიურო ახდლიად ხდის ლეჩაქს ამ «სოსილისტურ მთავრობას»:

შეიძლება ამაზედ შეგვნიშნონ, რომ პარტიული ბთავრობა სხვაგანაც არსებულაო. უთუოდ არსებობდა მრავალ ჯერ და მუდამ იარსებებს თანამედროვე დემოკრატიულ წყობილებაში. მაგრამ ჩვენი მთავრობის საქმე და მისი პარტიულობა ასეთს მაგალითებს არ უდგება სრულებით. პარტიები რომ ადგენენ მთავრობას, ამას ისინი სჩადიან ისეთი ორგანოების შემწეობით, რომელიც ემყარება კონსტიტუციას და მოქმედობს მისი წესების მიხედვით ასეთს ორგანოს წარმოადგენს დეპუტატთა კრებული, რომელიც სწორედ ამ საქმისათვის არის არჩეული და ხალხის მანდატით აღჭურვილი. ესევე ორგანოა მისი წრიდან გამოსული მთავრობის მეთვალყურე და უკანვე გამომწევეი, რომესაც ამას საჭიროდ დაინახავს. არსად გაგონილა, რომ რომელიმე უფლებრივს სახელმწიფოში მთავრობის მუშაობის ხელმძღვანელი ყოფილიყოს პარტიული რაიმე ბიურო და კომიტეტი, რომელიც მხოლოდ პარტიული წრიდან არის არჩეული და მხოლოდ მის წონაზეა პასუხისმგებელი. ასეთი ორგანო მოკლებულია ერის მა-





ნდატს და ის არსად არ არის მიჩნეული სახელმწიფოებრივი უფლებრივი ცხოვრების წყაროდ.

თვით საბჭოთა სისტემაც რომ ავიღოთ, იქაც დასულ ია ფორმალურად ეს წესი და სოცნარკომს ირჩევს საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც თავის მხრივ საბჭოების მიერ არის შექმნილი, როგორც მისი მუდმივი მაგიერობა. ხოლო თუ სოცნარკომი ამის შემდეგ პარტიული ცეკის ხელმძღვანელობას განიცდის, ეს ბოლშევიკური თავისებურებაა, მაგრამ ამას ისინიც კი მალავენ.

ჩვენი მენშევიკური სოცნარკომი ამ ბოლშევიკურ წესებსაც სცილდება და ახდილად, საქვეყნოდ აცხადებს, რომ ის მენშევიკური ბიუროს მაჩანჩალაა. მოდით და ამასაც შეურიგდეთ თუ მეტი გზა არა გვაქვს. ნორმალურს პირობებში მოქმედებს პარტიას კიდევ აქვს ერთგვარი წესები ხელმძღვანელ ორგანოების შექმნისა და მათი კონტროლისა. ასეთს პირობებში ის ერთი მსირე ნაწილის სურვილებს მაინც გამძახტავს დაეს ორგანოები ამ მსირე წრის წინაშე მაინც არიან პასუხისმგებელი. მენშევიკური ბიურო ამასაც მოკლებულია. ვის ეყრდნობა ის, ვინ ირჩევს მას, ვის წინაშე აგებს პასუხს? ყოველივე ეს ალღანმა უწყის. ის ანონიმია, უსახო და უპასუხისმგებლო. თუ ის პარტიულ მუშაობას აწარმოებს ასეთს პირობებში, ამას ვერავინ შეედავება. ეს მდგომარეობის საკითხია და მისი და მისი წრის შინაური საქმე. ხოლო როდესაც ეს უსახო ანონიმით მთავრობას იხელქვეითებს, მის უფლებებს ითვისებს და მთავრობას თავის დაქვემდებარებულ ორგანოდ აცხადებს, ამით ის უბათილებს მთავრობას უფლებრივი და მორალური არსებობის იმ მსირე ნაწილს, რომელიც მას კიდევ შერჩნოდა. მთავრობა უფლებრივი წყაროების მიერ იყო წირმობილი და თუმცა დიდი ნაწელი ამ წყაროებისა უკვე არსებობდა, მაგრამ მას მეტად ჰქონდა კიდევ შერჩენილი ეს უფლებრივი არსებობის საფუძვლები, ვინემ რომელიმე სხვა ორგანოს და მათ შორის, რასაკვირველია, მენშევიკურ ბიუროს.

ესლა ამ მენშევიკურმა ბიურომ თვითონვე გადაუჭრა მენშევიკურ მთავრობას ის ტოტი, რომელზედაც ის იყო შეხიზნული და თავშეფარებული.

რად მონდა ყოველივე ეს რა ბრძნული მიზნებითა და მოსაზრებებით? ამის ძიებას ამ ქამად ჩვენ არ შეუდგებით და ამას არც აქვს დიდი მნიშვნელობა. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს, რომელიც ფრიალ სამწუხაროა და მეტად სამარცხვინო,


როგორი შედეგი ექნება მენშევიკური მთავრობის ასეთს თვითმკვლელობას ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმისათვის? დიდათ დაზიანებს და შეაფერხებს მას თუ არა? ასეთი საშიშროება, რასაკვირველია არ სდგას ჩვენს წინაშე. მენშევიკურ მთავრობას დაკარგული ჰქონდა ფა-



ქტიური საფუძვლები საქარ თველს სინანდელიეში 1921 წლის თებერვლი დან. ეს მოათავა 1922 წლის პარტიათა შორის დადებულმა ხელშეკრულე-ბამ, რომელმაც სავსებით უარყო ჟორდანიაის მთავრობის მთავრობობა საქართველოს მიწა წყალხედ და მას დაუტოვა მხოლოდ დიპლომატიური მუშაობის ფუნქციები, რომელ ხელშეკრულეებას თვით მენშევიკური პარტიის სეკამ მოაწერა ხელი და მენშევიკურ მთავრობამაც ისწო აქ იმავე 1922 წელს. ეს გარემოება განამტკიცა და დააკანონა შემდეგი წლების ბრძოლებმა საქართველოში და თვით ემიგრაციაში ნაწარმოებ მუშაობამ სადაც მთავრობამ ტენიკური ერთობაც ვერ შეინარჩუნა მებრძოლ პარტიებთან და თავი სავსებით გაირიყა. ხლო არაც შეეხება საგარეო დიპლომატიურ მუშაობას, მენშევიკურმა მთავრობამ ყოველივე ზომა მიიღო და ყოველივე გააკეთა, რომ მისთვის შერჩენილი უფლებრივი მდგომარეობა სისტემატიურად გაეჩანაგებინა. ესლა ის საქვეყნოდ აბარებს მას მენშევიკურ ბიუროს და რუსეთის სოციალისტურ პარტიებს. შესაძლოა დამდგარიყო დრო, როდესაც ეს მიმქრალი ოფიციალი უფლებები მსირედ მაინც იქნებოდა გამოსადგი. რა მოგველის ჩვენ ასეთს შემთხვევაში დიდი საშიშროება არავითარი. არამც თუ ასეთი მოსუსტებული მთავრობის მაგიერობა, არამედ მტკიცე ნიადაგზე მდგომ მთავრობების მაგიერობაც გაუწვიეთ ერთოვნილი ბრძოლის პროცესში სხვა ორგანოებს, რომელთაც სოციალი ფუნქციები არ ჰქონიათ. მრავალია მაგალითები, როდესაც გარეშე სახელმწიფოებს სწორედ ასეთს ძალებთან დაუჭერიათ საქმე და არა მთავრობებთან. ჩვენს დროში მაგალითი პოლონეთმა მოგვცა. 1918 წლის ნოემბერში პილსუტკიმ შექმნა ვარშავაში დამოუკიდებელი პოლონეთის მთავრობა, მთელი ერის მიერ ცნობილი. საფრანკეთმა არ ისწო ის დამისმა საგარეო მინისტრმა პიშონმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობად არ სცნობს პილსუტკის მთავრობას, არამედ პოლონეთის ნაციონალურ კომიტეტს, რომელიც პარიზში არსებობდა დმოვსკის მეთაურობით. დიდი მუშაობა დასჭირდა პილსუტკის დათვით დმოვსკისთან შეთანხმება, რომ მოკავშირეებს ეს მისი, ფაქტიურად არსებული მთავრობა ეცნოთ და არა პარიზის ემიგრანტული კომიტეტი. თუ ასეთი რამ მომხდარა ფაქტიურად არსებული მთავრობის შესახებ, ის უფრო ადვილად შესაძლებელია, როდესაც ასეთი ფაქტიური მთავრობა არ არსებობს. თუ მენშევიკურმა მთავრობამ ასეთი თვითმკველობით გაათავა, ეს კიდევ არ არის დიდი უბედურება. საჭიროა მხოლოდ, რომ ქართული ერთოვნილი ძალები იყვენ დარახმული განმათვისუფლებელი ბრძოლის ყველა პირობებზედ შინ და გარეთ. სამი ათასი წელი გაუტარებია საქართველოს მენშევიკურ მთავრობას მოღებული და იმედია მომავალშიც იარსებებს უამისოდ.

მენშევიკური მთავრობა ამიერიდან საქვეყნოდ აცხადებს, რომ ის მენშევიკური ბიუროს ორგანოა და არა მთელი ერის წარმომადგენლობა





თუნდაც იმ მძივრე ასპარეზზე, რომელიც კიდევ შერჩა მას. ხოლო ეს მენშევიკური ბიუროკრატის მხრივ რუსეთის სოციალისტურ პარტიების ბლოკში შედის და ბუნებრივად მათი განყოფილება ხდება. ეს არის სინამდვილე, რომელსაც მემორანდუმი საგნებით ნათლად ამქადაგებს. ხოლო სხვა ქართულ წრეების წინაშე გამოსაბოდიშებლად რომ იხსენიება მემორანდუმში რომ «რუსეთის დემოკრატიამ უნდა იცნოს გადაჭრილად ერთა სუვერენობა», ეს უკვე ენუქას ანდე რძია, როგორც ამას თვით ნ. ჟორდანიას უმტკიცებდა ირ. წერეთელს ამ ორიოდვე წლის წინეთ. ბოლშევიკების დაცემის შემდეგ რუსეთის ას მილიონიანმა დემოკრატიამ როგორ უნდა იცნოს ეს ერთა სუვერენობა, სანამ ის რუსეთში დემოკრატიულ წყობას არ შექმნის და პარლამენტსა და მთავრობას არ შეადგენს. საქართველოს მენშევიკური ბიურო და მთავრობა მაშასადამე ამ დრომდე ითქვიფება დანაბრამოვიჩ-კერენსკის ორგანიზაციაში და მათთან ერთად ჰქმნის ანტიბონაპარტისტულ ბლოკს, ხოლო თუ ეს ბლოკი გაიმარჯვებს და კერენსკის დროის რუსეთი აღსდგება მკვდრეთით მენშევიკური ბიურო მოითხოვს მათგან ერთა სუვერენობის ცნობას. რასაკვირველია არავითარი გარანტიები არ არსებობს იმისათვის, რომ ასეთი რუსეთი საქართველოს სუვერენობას იცნობს. ამ შემთხვევისათვის მენშევიკები ამ სადაო საკითხის გასაჩივრებას გვპირდებიან მეორე ინტერნაციონალში. ესეც მოსაბოდიშებლად არის ნათქვამი, თორემ ასეთს გასაჩივრებას რა უნდა მოჰყვეს იმაზედ მეტი, რაც ამ ათა წლის განმავლობაში იყო

ამ რიგად მენშევიკები აქედანვე ითქვიფებიან რუსულ სოციალისტურ პარტიებში. თუ ეს გონიერაა, მაშასადამე სხვა ქართული ძალებიც უნდა გაითქვიფონ სხვა რუსულ პარტიებში, — ზოგი მილიუკოვის წრეში, ზოგი მონარქისტებში და იქიდან აწესრიგონ საქართველოს საქმეები. . . ხოლო ეს იქნება ფორმალური და ფაქტიური მოხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის დროშისა, რომელსაც ამოდენა მსხვერპლი შეეწირა. რა უფლებით სჩადის ამას მენშევიკური ბიურო და მთავრობა, განა ასეთი მანდატი მისცა მთავრობას ქართველმა ერმა ან თუნდაც მენშევიკურ ბიუროს ასეთი მანდატი აქვს თავის პარტიიდან, რომლის დიდი ნაწილი დაიღუპა ამ დამოუკიდებლობის დროშის ქვე და ბევრი კიდევ ციხე-სიმახეში იტანჯება ამავე დროშისათვის? რასაკვირველია არა. მათ სწორედ საწინააღმდეგო დავალება ჰქონდათ და აქვთ, მაგრამ ისინი როდის უწყევდენ რეალურად ანგარიშს ან ერისა და ან პარტიული მასის აზრსა და გადაწყვეტილებას.

მაგრამ შესაძლოა მენშევიკური ბიურო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის ამოწურულია ყველა საშუალებები და საჭიროა ამ საკითხში დათმობა. ერი და ისტორია ვერგამტყუნებენ მას ასეთს შემთხვევაში, უკე თუ ეს მართლაც ასეა და ყველა ზომა და საშუალებანი განვირუთლად იქმნენ მისინჯული, გამოყენებული



და ამოწურული. რეალური პოლიტიკა მუდამ რეალურ ძალთა განწყობილებას ემყარება და ის ხშირად დროებით და ხანგრძლივათა ბევრრასმეს სომობს. თავის მისწრაფებებში, უკეთეს დათმობა უფრო მეტ შესაძლებლობებს აძლევს ეროვნულ ძალთა შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად, ვიდრე შეურიგებელი გეზი. ეს ანგარიშის საკითხია, ძალთა და გარემოებათა შეფასებისა და შეფარდების საკითხი. ყველა ხალხთა ცხოვრება ამ გზით მიდის და ჩვენი ეროვნული პოლიტიკა ხომ სავსებით ასეთს ფარგლებში იყო ჩამწყვედული მრავალ საუკუნეთა გასწვრივ. მისი განვითარების ფრიად განსხვავებულ პირობების მეხებით. მაგრამ ასეთი დათმობის დროს ერის ხელმძღვანელნი მუდამ ანგარიშში აგდებენ იმას თუ რას ჰკარგავენ მით და რას იგებენ სამაგიეროდ.

მენშევიკური ბიუროს ასეთი გეზი რას გვიკარგავს, ეს ყველასათვის ნათელია. ის უფლებრივად და ზნეობრივად ანაირალებს ჩვენს განმათავისუფლებელ ბრძოლას შინ და გარედ და სხეულებრივად ასუსტებს მას. ხოლო ამის სამაგიეროდ ის რას გვაძლევს? დან-აბრამოვიჩ-კერენსკის თანაგრძნობას და დახმარებას არც ეს არის. ეს ხალხი დიდის სიმძაფრით ებრძოდა აქამომდე ჩვენს დამოუკიდებლობას და ნ. ჟორდანია სასტიკად ჰგმობდა მათ ამისათვის ქართულ გამოსცემებში თუ რუსულსწიგნაკებში. იქნებ მათ შეიცვალეს ასეთი გეზი სრულებითაც არა, ისინი კვლავ ამ გზით მიდიან და კიდევაც რომ შეიცვალათ თავისი ჩვენდამი დამოკიდებულება რას მოგვცემდა ეს ჩვენი რეალურად ნ. ჟორდანია და სხვა ჩვენი მენშევიკები არასოდეს მაღავენ, რომ რუსეთის სოციალისტურ პარტიებს არავითარი ძალა არ შეერჩად რუსეთში. მაშასადამე ეს დან-აბრამოვიჩ-კერენსკი უფრო გენერლებია, ძველი პარტიების უმნიშვნელო ნაშთები. ამას თვით ისინიც არ ჰვარავენ. აბრამოვიჩმა ამას წინათ საჯარო მოხსენება წაიკითხა, რომელსაც ქართველი მენშევიკები ბლომად დაესწორენ, და იქ განაცხადა: 90 პროცენტია იმისა, რომ რუსეთში, ბოლშევიკების შემდეგ ძალაუფლებას მემარჯვენე წრეები ჰაიგდებენ, მაგრამ ჩვენ ეს არ უნდა გვაშინებდეს, რადგან მათი ჩამოგდება უფრო ადვილი იქნება ჩვენთვის, ვიდრე ბოლშევიკებისა. მაშასადამე, ქართველ და რუს მენშევიკებს დარჩათ ეს ათი პროცენტი და ისიც იმედი, ოცნება. მაგრამ აქ სოციალისტურ პარტიებს გარდა არა სოციალისტური, დემოკრატიული ძალებიც არიან. ნახევარზე მეტი თუ არა, ამ შესაძლებლობის ნახევარი მაინც მათ ეკუთვნით. ხოლო ეს დემოკრატია ისევე მიუღებელია მენშევიკურ ბიუროსათვის, როგორც მონარქისტები. ეს მრავალჯერ უთქვამს ნ. ჟორდანიას თვით ვეროპის დემოკრატიის შესახებ და ეხლაც ამბობს მემორანდუმში, რომ ასეთი დემოკრატია ბონაპარტიტულია და, რომ «მთელი თანამედროვე იმპერიალიზმი ბურჟუაზიული დემოკრატიის ღვიძლი შვილია». მაშასადამე რუსულ-ქართულ მენშევიკურ ბლოკს რჩებათ ხუთი პროცენტი იმედისა, რომ ბოლშევიკებს ისინი შესცვლიან, უკეთეს ეს ბოლშევიკები წაიქსენიან და რაღაც სასწაულით რეალურ ძალთა განწყობილებების ნპროცენტი



დასძლევს 95 პროცენტს და ძალა-უფლებას წაართმევს. მაშასადამეესტ-  
 ნებაა და ისიც ხუთ პროცენტიანი ოსნება! მაგრამ ასეთი ღუთპროცენტი-  
 ანი ოსნებას რომ გამართლდეს რამდენი ნაწილაკი პროცენტი აქვს თავის  
 ხელში ქართველ მენშევიკებს, რომ რუსეთის სოციალისტები მათ დაუქუ-  
 რენ მხარს და საქართველოს დამოუკიდებლობას იცნობენ

ასეთს არა რეალობაზედ, თუნდაც მსირე რეალობაზედ, არამედ ოს-  
 ნებაზედ და ისიც ლატაკ ოსნებაზედ გასცვალეს ქართველ მენშევიკების  
 ბელადებმა მებრძოლი ერის დროშა, მისი სუვერენობის იდეა, გადანახა-  
 ლი ბრძოლები, უამრავი მსხვერპლი, რაც უდიდესი სიმტკიცის დასაყრდ-  
 ნობს წარმოადგენდა ჩვენი ეთნოსის მიმდინარე ბრძოლის ხანაში და ასე  
 თსავე ძლიერებას მოგვცემდა შინ და გარეთ ჩვენი განმათავისუფლებელი  
 ბრძოლის გადამწყვეტს მომენტში. საქართველო არც ამით დაილუბება,  
 რადგან მის ბედს სხვა უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები გადასჭრის, ვი-  
 დრე ეს მენშევიკური მეთაურების დაუსრულებელი ყალთაბანდობაა, მა-  
 გრამ სირსხვილათ ეს ეყოფა მათ და ჩვენც ყველას და მთელს ერსაც, ვი-  
 ნაიდან ყოველივე ეს მისი სახელით კეთდება....

მენშევიკების ეს ახალი გამოცემა და შემორანდუმი, როგორც სჩანს მიჩნე-  
 ულია იმმალამოდ, რომელმაც დროებით მაინც უნდა მიიყუჩოს მენშევიკურ  
 სხეულში ატეხილისნეულებანი. ამსნეულებებს. ყორდანიამ «აზრთა არევა»  
 უწოდა. ასეთი აზრთა არევა უმთავრესად ორი მიმართულებით აღინიშნა:  
 ირ. წერეთელის ოპოზიციის ემიგრაციაში და «ახალი გზა»—საქართველო-  
 ში. მართალია ამას გარდა მენშევიკურ წრეში ადგილი ჰქონდა კიდევ მრ-  
 ვალს არევას, მაგრამ ეს უთუოდ კიდევ უფრო უაზრო და უგზო-უკვლო  
 არევა იყო.

ირ. წერეთელის პოზიციის ფრიად სადა იყო და ნათელი: მთავრობად  
 და მინისტრებად, ეუბნებოდა ის თავის ამხანაგებს, თქვენ არ გამოდგეით  
 იქ, თავის მიწა-წყალზედ და უსხოეთში როგორ უნდა გამოდგეთო. თუ ევ-  
 როპის მთავრობებთან რაღე მოხერხდება, ამას სხვები გააკეთებენ თქვენზედ  
 უკეთ, რადგან სულ ერთია არაფერს სერიოზულში ეს სახელმწიფოები არ  
 ჩაგირიყვენ. ამიტომ სჯობს ეს თქვენი მთავრობის დროშა ჩამოხსნათ და  
 პარტიული დროშის ქვეშ იმუშაოთ რუსეთის და სხვა ქვეყნის სოციალი-  
 სტებთან ერთადო. რუსეთის დემოკრატიის ნება-სურვილის გარეშე ირ.  
 წერეთელს არ ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფოებრივი  
 არსებობა.

წერეთელის შეხედულებას დიდ ბრძოლას უსხადებდა აქაურ მენშე-  
 ვიკთა უმრავლესობა, რომელსაც რამიშვილისტებს უწოდებენ. ეს ბრძო-  
 ლა შვიდი წელია რაც სწარმოებს. უკანასკნელ ხანში ამ ორ ლაშქართან  
 ერთად მესამე ლაშქარიც გამოჩენილა ბრძოლის ველზედ—გეგეჭკორისტე-  
 ბი და შემდეგ მალე დროებითი ზავის ჩამოვარდნილა, თუმცა ბრძოლის




ციყინა მთლათ არ მიმწყდარა. საზავო პირობის როლს მემორანდუმი თამაშობს და, სიმართლე უნდა ითქვას, ის დიდის მოხერხებით არის შედგენილი. იქ ყველა იპოვნის თავისათვის სასურველ გამოთქმებს, მხოლოდ მისი მთავარი ხაზისა და ბუნების გაგებას დიდი დაკვირვება უნდა და მენშევრკურ ხელმძღვანელობის ზნე ხასიათის ცოდნა. მიუხედავად მისი ბუნდოვან აზრისა, მემორანდუმი საკმაოდ ამქლავნებს, რომ მენშევიკთა წრეში წარმოებულ ბრძოლა დასრულებულა ამ ხანად საქართველოსეროვნული იდეისა და მისი სახელმწიფოებრივი ინტერესების ხარჯზედ. ეროვნულ დროშა მართალია მთლად არ არის ჩამოხსნილი. მაგრამ ზვეიდან დაფარულია დიდი რუსეთის სოციალისტური დროშით, როგორც ეს იყოჩვენი დამოუკიდებლობის გამოსხადების პირველს ხანებში. ეროვნული მთავრობისათვის შერჩენილი უფლებრივი და ზნეობრივი დასაყოფნობი სახეებით გაჩანაგებულია და ის პარტიულ იაჩეიკად არის გამოცხადებული, ხოლო მისი სახელი მაინც დატოვებულია და ნ. რამიშვილიც უთუოდ ამით დააკმაყოფილეს. ბავშვს რომ ხელოვნუ ი ძუძუთი აწოვებენ, ხშირად რძეს რომ გამოაძლიან სარეილს ძუძუს ჩაუტევენ პირში და ისიც დიდისკმაყოფილებით სწუწის მას და რამდენი მოშივდება, იმდენი უფრო გულმოდგინეთ. ასე ჩაუტოვებია წერეთელს რამიშვილისტებისათვის ეს მინისტრობის სარეილი სახელი და ისინიც, როგორც სჩანს, ამით დიდათ არიან კმაყოფილი, რადგან ეს თავისი სრული კაპიტულიაცია ყველა არსებობის საკითხში მათ, გამარჯვებად აქვთ გამოცხადებული: წერეთლისტები დავამარცხეთ, ოპოზიციაზედ უარი ვათქმევინეთ.

წერეთლისტები რუსეთის მენშევიკებისაკენ იწოდენ, «ახალი გზელები» პირდაპირ ბოლშევიკებისაკენ მიდიოდენ. ისინი უარყოფდენ ინტერვენციას და საზავადოთ უცხო სახელმწიფოების გამოყენებას საქართველოს საკითხის გადასაჭრელად. ნ. ქორდანია ამანზედ მათ უპასუხებდა: «ერის განთავისუფლება ხდება ვისიმე დახმარებით. არც ერთი პატარაერი საკუთარი ძალ-ღონით არ განთავისუფლებულა... ცხადია, ერის განსათავისუფლებლად საჭიროა ორი მომენტი: ერის ბრძოლა და გარეშე ძალის დახმარება». (ნ. ქ. რა მოხდა). მემორანდუმი ამ ქამად სახეებით უარყოფს ნ. ქორდანიას ამ ზომად კატეგორიულად გამოთქმულს აზრებს. ის «ახალი გზის» პოზიციას ღებულობს სახეებით და არამც თუ უარს ამბობს უცხო სახელმწიფოების ჩარევანზედ საქართველოს გამო, არამედ უამისოდაც რომ ვინმემ რამე გაუბედოს რუსეთს, ესენი მათზედ შეკვდომას გვპირდებიან ეს დალოცვილები ასე რად არ მოიქცენ 1921 წელს, როდესაც უცხო ძალა საქართველოს შემოესია.

ხოლო ერთ რამეში არ არის მიღებული სახეებით «ახალი გზის» ხაზი. ის ბოლშევიკებს შეურიგდა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას თავი დანება. ამის გამო ნ. ქორდანია მათ უწყობდა: «ვის უძვრებით, რა ხალხთან იჭერთ კავშირს». შემდეგ ის ფილოსოფიურად ასაბუთებდა შეძრო-





მის პოლიტიკას და ამბობდა: «შეძრომა სარფიანია შემძრომელთათვის, საზიანოა ხალხისათვის». მემორანდუმი არ ჰგულისხმობს ასეთს შეძვრენას ბოლშევიკებთან, არამედ რუსეთის მენშევიკებთან. მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ უკარგავს ძალას ნ. ჟორდანის სიტყვებს მენშევიკებთან შეძვრენის შესახებ. ვის უძვრებითო, რომ ჰკითხონ მათ «ახალ გზელებზე» მათ მემორანდუმის დამოწმებას შეუძლიანთ. მემორანდუმი ამბობს, რომ «ნაციონალურ სფეროში საბჭოთა კავშირი სრულიად არ გავს არ ცარისტულ და არც დრავებითი მთავრობის იმპერიას, საბჭოები იძულებული გახდნენ მათი (ერების) დამოუკიდებლობა დაეტოვებიათ კულტურულ სფეროში მაინც, საკუთარი ენით, ლიტერატურით, შკოლით, დაწესებულებებით» და სხ. ამის მიხედვით დეცდარიანი, გელიევილი, თოფურიძე და სხ. ამაყად მოახსენებენ ნ. ჟორდანის: ხომ ხედავთ რისთვის შეუძვრით ამათ პოლიტიკას და ეს ლა თქვენ გვიბრძანეთ, თქვენ რიდ უძვრებით ისეთს რუსულს წრეს, რომელიც ამასაც არ გვაძლევდა ნაციონალურს სფეროშიო.

ამ ეპოქაზე ჩვენ არ შეუდგებით იმის გამორკვევას. თუ მენშევიკური «შეძვრენისტული» პოლიტიკის რომელი ფრთა უფრო გონიერია და მართალი, რასაკვირველია, შედარებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს, რომ ნ. ჟორდანია და მისმა ბიურომ სავსებით დასტოვეს ის პოზიციები, რომელსაც იპავედენისინი აქამომდე და მიიღეს «ახალი გზის» შეძვრენის პოლიტიკა, ხოლო წერეთლის გზით - რუსეთის მენშევიკებისაკენ. ვისაც კიდევ იჭვი შეეპარება ასეთს დაფასებაში, მან უნდა გადაიკითხოს ნ. ჟორდანის ბროშურა «რა მოხდა», მისივე წერილი წერეთლის ოპოზიციის შესახებ და მენშევიკური ბიუროს ეს ახალი მემორანდუმი.

მაშ იქ «შეძვრენა» რუსეთის ბოლშევიკებთან და აქ კიდევ ასეთივე შეძვრენა რუსეთის მენშევიკებთან. ამათ გარეშე არსიდ ხმა, არსიდ ძახილი, მაგრამ ნ. ჟორდანია გვასწავლის, რომ «შეძვრენა სარფიანია შემძრომელთათვის, საზიანოა ხალხისათვის. რატომ სხადია რატომ. შეძრომა შეუძლია თითო ორ ალა პირს, გუნდს, არასოდეს ხალხს». მაშ ნ. ჟორდანის ბიუროს უკვე მოუპოვებია შესაძვრენად რუსული მენშევიკური სორო, მყუდრო და სარფიანი. მთელი ერი, მთელი ხალხი გარედ რჩება მისგან მიტოვებული და დაობლებული. ამ სოროში ვერ შეძვრება თურმე თვით მენშევიკური მასსა, უკეთუ ასეთი კიდევ არსებობს. ვანა ეს სამართლიანია მაგრამ ყველაზედ უფრო აღმაშფოთებელი ის არის, რომ ამ სოროში შესაძვრენი ბილეთი არ ეძლევა თვით ბ. გვანავას, რომელიც «საერთო ფრონტის» ბრძოლის ცეცხლში იყო განვეული და რც კი გაუგია თუ მისი სარდლები სოროებს ეძებდნენ. სოროში შეძვრენის წინააღმდეგი, უთუნოდ არც ის იქნებოდა. მაგრამ რატომ ისეთი სორო იყო ამორჩეული მაინცა და მაინც, რომ სწორედ ის და მისი ფრონტი შიგ ვერ შეძვრალიყვენ ყოველივე ეს ფრიად სასაცილო იქნებოდა, მეტად სამწუხარო და სამარცხვი-




ნო რომ არ იყოს.

მენშევიკური ბიუროს ეს ახალი გეზი ყოველივე ამით როდის განისაზღვრება. ის კიდევ უფრო ღრმა ოპერაციას ახდენს დაჩაჩანაკებულ მენშევიკური პარტიის სხეულზედ. მას შემთავსებრწეს ბეჭერი რამ იმ სამოსლებიდან, რომლითაც იყო მორთული ეს პარტია უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში და რომელშიდაც ის ასე ამაყად კოპწიობდა: ეროვნული ბრძოლა, ეროვნული სუვერენობა, ნაციონალური მთავრობა, ეროვნული ფრონტი და სხ. მემორანდუმის მიხედვით ასეთი წოდება და გარეგნობა დატოვებულია მენშევიკური ბელადებისათვის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებისათვის, როდესაც მათ სხვა ქვეყნის ნაციონალურ ძალბთან ექნებათ საქმე. ერთი სიტყვით სავესებით განიძარცვეს სამოსელი თავისი და კვლავ შეიმოსეს რუსულს ნილიოსიტურს კასავაროდკაში, რომელშიდაც ისინი იშვენ და აღიზარდენ. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. უნდა დაეიწყებას მიეცეს ამ უკანასკნელი დროის შერეული სიტყვა-პასუხი—ნახევრად ინტერნაციონალური, ნახევრად ნაციონალური, ხან სოციალისტური და ხან კიდევებურეუაზიული. უნდა იქმნას აღდგენილი ჭაბუკობის ხანის მეტყველება, ქსევა და მოქმედება. ერთი სიტყვით სრული გაახალგაზრდავების ოპერაციას ახდენს ეს ჩვენი მენშევიკური მოხუცი და გაყმაწვილებულად გვევლინება. ამის მიხედვით, მოხუცებულობის ხანის ორგანო «ბრძოლა» დაიხურა და მის ნაცვლად გაჭაბუკებული «ბრძოლის ხმა» მოგვევლინა. როგორც მოსალოდნელიც იყო, მან სხაპა-სხუპით დაგვყარა პირდაპირ «დევიტსოტ პიატი გოდის» მარგალიტები: რეაქცია კონტრრევოლიუცია, დანოსჩიკი, პაშეშჩიკი, პრისტავი, ზუბრი და სხვა... ილია ჭავჭავაძე თავდაზნაურების ბელადათ იქმნა გამოცხადებული, იმ საბუთით, რომ ის «ივერიას» სცემდა და არა «ბრძოლის ხმას». ეროვნულ დემოკრატია რეაქციის ბუდეთ არის მიჩნეული და კონტრრევოლიუციის მოციქულად. ხოლო ზურაბ ავად იშვილი «დანოსჩიკად» არის სახელწოდებული იმის გამო, რომ მან ინგლისურს ჟურნალში მოათავსა წერილი რასაკვირველია ახდილად და არა ქურდულათ, სადაც ის ჰბედავს და კრიტიკულად იხილავს მენშევიკურ მთავრობის მოღვაწეობას. ერთი სიტყვით სავესებით აღებულია იმ დროინდელი კილო, როდესაც ამ მენშევიკურ მეთაურობას არაფერი ეკერათ ენაზედ გაიდა ლანძღვა-გინებისა და საზოგადოების ერთი წრის მეორეზედ მისისიანებისა. ამოდენი დრო გავიდა მას შემდეგ, ამოდენი უბედურება გადაგვხდა სწორეთ ამ წრის ასეთი მოღვაწეობის გამო და ის კიდევ თავიდან იწყებს.

აბა ვინ იფიქრებდა, თუ ეს გაჭაბუკებული «ბრძოლის ხმა» თვითიმ, სველ და ვიწრო შუბლიან სექტანტურ «ბრძოლას» გავვიხდიდა სანატრულად და კეთილად მოსავონარად! მაგრამ, როგორც სჩანს არც ასე ადვილი ყოფილა გაჭაღარავებულ ხალხის სასტულელუტოთ ნავარდი საბავშო ტრუსიკებში. «ბრძოლის ხმის» გაყმაწვილებული მოხუცები პირველს ხა-





ნად მორცხვობენ და თავის ვინაობას მალავენ. ისინი კარგად გრძობენ, რომ ეს მათი ახალი გეზი არ არის რიგიანი და სასახელო საქმე. ამის გამო ეს მათი ახალი ორგანო ანონიმია სავსებით და თავიდან ბოლომდე დამწერის ვინაობას ამქდავენებენ მხოლოდ იმ წერილში, რომელიც მიძღვნილია მათს «ძვირფას მასწავლებელს კაუტსკის». ხოლო ყველა სხვა კითხვების შესახებ ისინი ნიღბ ჩამოფარებული იმეორებენ ბავშობის ხანაში ჩადენილ ტულულობას და ფარდა ამოფარებულად ასალებენ ამ უხნეო საქციელს ქართველი ერის საკეთილდღეოთა და მისი სახელით ნაწარმოებ საქმედ. დაჩწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არსად ყოფილა მეორე მაგალითი, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ასეთი ანონიმოგამოცემა მისთვის პარტიული ორგანო დაერქვას. თვით მეფის რუსეთის ხანაში გამოცემული არალეგალური გამოცემებიც არ ყოფილან ასე უსახო და უპიროვნო. რა არის ეს პოლიტიკური სიკვდილი თუ პარტიული გაყმაწვილება?

ალ. ასათიანი.

## ქართველი მენშევიკები და საქართველოს დამოუკიდებლობა.

გაზეთ «ბრძოლის ხმაში» დაბეჭდილია ქართველი მენშევიკების საზღვარგარეთელ ბიუროს მემორანდუმი, გასული წლის ივნისში, მეორე ინტერნაციონალის ეკზეკუტივში წარდგენილი და თავის დროს ინტერნაციონალის საინფორმაციო ბიულეტენში გამოქვეყნებული.

შეუძლებელია ქართულმა ეროვნულმა აზრმა დუმილით ჩაუაროს ისეთ დოკუმენტს, რომელიც ქართველი მენშევიკების პოლიტიკას დამოუკიდებლობის საკითხში, სრულიად ახალის სახით გვიხატავს. ევოლუცია, რომელსაც ჩვენი თვალის წინ ქართული სოციალ-დემოკრატია გადის, იმდენად თვალსაჩინო და იმდენად განსხვავებულია იმისაგან, რასაც პარტია აქამდე ოფიციალურად აღიარებდა, ისე ღრმად ეხება ქართველი ერის მომავალს, მის დღევანდელ ბრძოლის ტაქტიკას და პოლიტიკას, რომ ამ დოკუმენტში ღრმად ჩახედვა და მისი შეფასება ეროვნულად აუცილებელი ხდება. ეს შეფასება მით უფრო სავალდებულოა, რომ მემორანდუმი ლაპარაკობს არა მარტო მენშევიკური პარტიის, არამედ, თითქმის, ყველა პარტიების, ეროვნული მთავრობის და მთელი მეზობელი ქართველი ერის სახელით, რომელსაც, როგორც მემორანდუმი მოუხრიდებლად აცხადებს, მენშევიკური პარტიის გეგმონია «უდავოთ აღიარებული» ჰქონია.



ახალი ამბავი არ არის, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის «პრესტიჟი» მეორე ინტერნაციონალში, უკანასკნელ წლებში, საკმაოდ დაეკარგა პროცესი მარხელის კონგრესზე დაიწყო და ბრიუსელში დამთავრდა, სადაც ინტერნაციონალის ქართულ სექციას ძველი პატივი თითქმის სავსებით აკყარეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ამბავში უორდანიამ-რამიშვილის სნობილ წერილებსა ჰქონდათ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართული სექციის ამ დამდაბლებაში, მთავარი როლი მიიწა რუსის სოციალისტებმა ითამაშეს, ისინი მოითხოვდნენ, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიას, როგორც მეორე ინტერნაციონალის ფრთას და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყოფილ ნაწილს, დამოუკიდებელ და რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკაზედ ხელი აეღო და ძველებურად რუსეთის დემოკრატიის საერთო ფრონტში ჩამდგარიყო. რუსული პარტიების ეს იერიში ი. წერეთელმა ქართულ სოციალ დემოკრატიის გადარჩენა და პარტია დადხანს კამათობდა ამ საკითხზედ.

«როგორი უნდა იყოს ჩვენი განწყობილება რუსეთის მიმართ?—კითხულობს წერეთელი თავის წიგნაკში: «ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხები» და ასეთ პასუხს იძლევა: —ჩვენს ეროვნულ მოძრაობას სრულიად გამარჯვებული სახე მიეცემოდა, ჩვენ რომ რუსეთის ხალხზედ გადავიტანოთ ის გრძობები, რომელსაც სთესავს ჩვენში გაბატონებული ბარბაროსული დესპოტია. ჩვენი ბრძოლის ყველა კრიტიკულ მომენტებში ჩვენ გვესმის თანაგრძობის ხმა ჩვენი რუსი ამხანაგების, რომლებიც თითონაც უძნელეს პირობებში იბრძვიან საბჭოთა სისხლოვან დიქტატურის წინააღმდეგ, ასეთსავე თანაგრძობას უნდა ვალვიძებდეთ ჩვენ ჩვენს ხალხში რუსეთის ხალხის განმათვისუფლებელ ბრძოლის მიმართ. ეს არის არა მარტო ჩვენი მორალური მოვალეობა, ეს არის პირდაპირი ინტერესი მთელი ჩვენი საქმისა. პატარა ქართველი ერის ბრძოლა რუსეთზედ გაბატონებულ დესპოტიასთან უიმედო იქნებოდა, რომ თვით რუსეთის ვითარება არ ამარჯვდეს ამ დესპოტიის მოპირდაპირე ძალებს და არ უმზადდეს ჩვენ ხალხს მოკავშირეებს. ჩვენი განთავისუფლების იდეის გაძლიერება და გამარჯვება მჭიდროდ შეკავშირებულია თვით რუსეთის შიგნით დემოკრატიის იდეის გაძლიერებასთან და გამარჯვებასთან».

ასეთი იყო. წერეთლის დებულება, რომლის წინააღმდეგ, ერთ დროს უორდანიამ ილაშქრებდა, მაგრამ უორდანიამ დასთმო, შეუდგენდა ახალი კომინიაციის ძებნას და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ფერი იცვალა არა მარტო ძველმა ტაქტიკამ, ფერი იცვალა თვით წერეთლის დებულებამაც და რასაც ეხლა არა მარტო წერეთლის, არამედ მთელი პარტიის სახელით მემორანდუმი გვაწვდის, წერეთლის მორალური—დემოკრატიული ლამენტაციები კი აღარ არის, არამედ ქართული დროშის დაკეცა, საქართველოს საკითხის საერთაშორისო რიგიდგან მოხსნა, მისი რუსეთის თაროზედ გამოდება და საერთო რუსული დროშის გაშლა! ამ რი-





გად ქართველ სოციალისტების შინაურ დავაში, გამარჯვება რუსის სოციალისტებს დარჩათ!

რითი ასაბუთებს მემორანდუმი ქ.რთული მენშევიზმის ასეთ ევოლუციას?

მეორე ინტერნაციონალი და რუსის „სოციალისტები უსაყვედურებდნენ ქართველ მენშევიკებს — პოლიტიკურ ნაძღვეს მარტოდენ ომზედ და ინტერვენციასზედ ამყარებთ და ამ რიგად არა დემოკრატიულ და მილიტარიზმის საქმეს ემსახურებით. ამიტომ მემორანდუმის თავის მართლებით იწყებს. ომ ბურჟუაზიის მოგონილია, «კაპიტალიზმი სულდგმულობს მილიტარიზმით, მილიტარიზმი სულდგმულობს კაპიტალიზმით» ო, სწერენ მეორე ინტერნაციონალის ქართველი პროპაგანდისტები.

მაგრამ მემორანდუმი იძულებულია გამოტყდეს, რომ ომი მარტო კაპიტალიზმის მოგონილი არა ყოფილა. ომის იდეებით სულდგმულობს თურმე საბჭოთა რუსეთიც, რომელიც ასპროცენტეანი სოციალისტური სახელმწიფოა და არა კ პიტალისტური. ამიტომ, მემორანდუმის აზრით, საჭირო ყოფილა ბოლშევიზმის დამხობა და მომავალი ომების ამ ბუნავის მოსპობა. აი, აქ იწყება მკითხაობა, გამოსანები და შელოცვები, როგორ უნდა დაემხოს ბოლშევიზმი.

რევოლიუციები რომ დამალ ხესავით ყველა თავისებურად ეცემა ამაზედ მემორანდუმში სიტყვაც არ არის. მენშევიკური გეგმა, პირიქით, სულ იმის ცდაშია, რომ ბოლშევიკური რევოლიუციის მოსალოდნელი ბოლო საფრანგეთის რევოლიუციის ბოლოს ჰგავდეს. ასეთ ყოფაში, გეგმის შეოგენა და წინასწარმეტყველება, რა თქმა უნდა, ადვილი საქმეა. ამით უნდა აიხსნას, რომ მენშევიკურ გეგმაში მთავარი ადვილი ბონაპარტს და ანტიბონაპარტს უჭირავს, მაგრამ მოსალოდნელი ვითარების სურათს ვერ იძლევა.

მემორანდუმის ვარაუდით ბოლშევიზმის დამხობა სამნიარად შეიძლება მოხდეს:

სახელმწიფო აპარატის თანდათან მოშლით.

ხალხის ამოძრავებით და დემოკრატიის გამარჯვებით.

და სამხედრო გადატრიალებით.-

პირველი ორი შესაძლებლობა თვით მემორანდუმსაც არა სჯერა სახელმწიფო აპარატის მოშლა და ისიც «თანდათან» ფრიალ გაჭიანურებული ცნებაა. როდის იქნება და როგორ იქნება ღმერთმა უწყის! ამ მოშლილი სახელმწიფო აპარატით ბოლოვენიზმმა უკვე თორმეტი წელიწადი იტაცხლა, ხოლო სხვაგან და მეტადრე აღმოსავლეთ დესპოტიებში, მოშლილი სახელმწიფო აპარატები საუკუნენი სტოცხლობენ. არავინ იცას, აგრეთვე, როდის ამოძრავდება და მით უმეტეს გაიმარჯვებს რუსეთის დე





მოკრატიას. მაშასადამე, მოკლე ხანში მასლოდნელი მხოლოდ სამხედრო გადატრიალებაა. მემორანდუმი უმთავრესად ამ შემთხვევას იხილავს. მაგრამ ძისი ავტორები იმ თავითვე სასაპილო ყოფაში ვარდებიან. პირველი ორი შემთხვევა მოსწონთ, მაგრამ არასჯერათ. მესამე სჯერათ. მაგრამ არ მოსწონთ! მემორანდუმი ამბობს:

«სამხედრო გადატრიალება მიუღებელია რუსის ხალხისათვის პოლიტიკურად და სოციალურად, ხოლო არარუსებისათვის აგრეთვე ნაციონალურად; ია მიუღებელია, აგრეთვე ლიმიტროფების და ევროპის დემოკრატიისათვის. მასთან ბრძოლა არის ჩვენი საერთო ინტერესი. ეს ბრძოლა შეიძლება იწარმოვოს სხვადასხვანაირად, თანხმად იმ კონკრეტული ძდგომარეობისა, რომელიც ძაშინ გამაჩნდება. აქ ეხლა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ერთი გზა: ნაციონალურ რესპუბლიკებში არ ისწონებენ მოსკოვის ბანაპარტიზმს და თავის მისგან დამოუკიდებლობას გამოსახადებენ. ძათი მოკავშირე შეიძლება იყოს ორი მხრით; შიგნით რუსის უკმაყოფილ ხალხი, გარეთ - დაინტერესებული ლიმიტროფები. უკანასკნელთა ჩამორევა სრულია მასლოდნელია. ხოლო გარეშე სახელმწიფოთა ჩამორევა გააძლიერებს რუსის ხალხში იმპერიალისტურ სულისკვეთებას და სამხედრო დიქტატურის საჭიროებას. სხადღია ეს გზა მიუღებელია და რომ ის არც ვახდეს შესაძლებელი - ს აჭ ი რ თ ა ნ ა ც ი თ ნ ა ლ უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი თ ა ვ ი ს მ ო კ ა ვ შ ი რ ე ს ხ ე დ ა ვ დ ე ს რ უ ს ი ს ხ ა ლ ხ ი დ ა მ ა ს თ ა ნ ე ო თ ა დ შ ე ე ბ რ ძ ო ლ ნ მ ო ძ კ ო ვ ი ს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს . მ ა შ ა ს ა დ ა მ ე ნ ა ც ი თ ნ ა ლ უ რ დ ა ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა თ ა ს ე რ თ ო ფ რ ო ნ ტ ი დ ა ა მ ფ რ ო ნ ტ შ ი რ უ ს ი ს ხ ა ლ ხ ი ს შ ე ს ვ ლ ა , ა ნ დ ა პ ი რ ი ქ ი თ , რ უ ს ე თ ი ს ა ნ ტ ი ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი ს ტ უ ლ ი ფ რ ო ნ ტ ი დ ა მ ა ს შ ი დ ა ჩ ა გ რ უ ლ ე რ თ ა შ ე ს ვ ლ ა - თ ა ვ დ ე ბ ი ა გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს »-ო.

მემორანდუმის სიტყვით, «ასეთ საერთო მოძრაობის პერიოდში ერთი სახალხო ანტიბონაპარტისტული, დემოკრატიული ფრონტის შედგენა არც ისე ძნელი იქნება. მხოლოდ ერთი პირობით: თუ რუსეთის დემოკრატია ნაციონალურ საკითხში ერთხელ და სამუდამოდ უარყოფს ყოველნაირ ყოყმანს, ისწონებს გადაჭრილად ერთა სუვერენობას და მით გამოსაძლის ყოველნაირ ნიადაგს ნაციონალისტებს და ინტერვენციონისტებს»-ო

მაშასადამე რუსეთში მოხდება სამხედრო გადატრიალება. ეს მიუღებელი იქნება თვით რუსის ხალხისათვის. არა რუს ერებისათვის, ლიმიტროფებისათვის და თვით ესრობის დემოკრატიისათვის. ამას მოჰყვება რუსის ხალხის აჯანყება, დაჩაგრულ ერების განდგომა, მათ მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება და ლიმიტროფების ინტერვენცია. აღარა ვაობ იმაზედ, რომ ამის გამო და ამავე დროს ევროპის დემოკრატიას თუ რემ ალაცასიზავ ! მაშასადამე მოხდება ის, რაც ყოველ დროსა და ყოველ





ხალხში, საუკეთესო პირობად ითვლებოდა და ითვლება, რომ ერებმა თავისი დამოუკიდებლობა განახორციელონ. ასე იყო დიდი ომის დროს. როდესაც სამხედრო ინტერვენციებმა და შინაურმა რევოლუციებმა გერმანია და აკსტრო-უნგრეთი დაშალეს და პოლონეთმა. ჩეხ-სლოვაკიამ და სამხრეთ სლავიანებმა თავისი დამოუკიდებლობანი გამოაცხადეს. ასევე იყო რუსეთში, სადაც იმავე სამხედრო ინტერვენციებმა და შინაურმა რევოლუციამ შეძლება მისსეს ერებს თავისი დამოუკიდებლობანი გამოცხადებინათ.

მაგრამ მემორანდუმს ეს არ მოსწონს. ეს არ ვარგებულა. ვარგებულნი თურმე ისა ყოფილა, რომ დაჩაგრული ერები ამ რუსის ხალხს გაუერთიანდნენ, ბონაპარტი და ლიმიტროფები რუსეთიდან განაძეონ, რუსეთი აღადგინონ, ტახტზედ მაგარი დემოკრატიული მთავრება დასვან და ეს რუსის დემოკრატია თითონ დაურიგებს დაჩაგრულ ერებს დამოუკიდებლობას. აი, მენშევიკების ახალი ტაქტიკა ეროვნულს საკითხში, მათი და მოუკიდებლობა, მათი თავისუფალი საქართველო!

საკითხავი მხოლოდ ის და არის—რაკი «გამარჯვების თავდები» ისა ყოფილა, რომ ან რუსის ხალხი უნდა შევიდეს მენშევიკებისაგან შექმნილ ნაპიონალურ და ავტონომიურ რესპუბლიკათა საერთო ფრანტში, ან ნაპიონალური და ავტონომიური რესპუბლიკები რუსის ხალხის ანტიბონაპარტისტულ ფრანტში—ვინ ვისში შევა. რუსები არარუსთა ფრანტში, თუ არარუსები რუსულ ფრანტში. ეს საკითხი მთავარია, რადგანაჲ შედეგის ამაზედ იქნება დამოკიდებული, თუ რუსები შევლენ ჩვენს ფრანტში სხადია, კონსტიტუციასაც ჩვენ დაუწერთ რუსეთს და ჩვენი ხბო მგელს დაიჭირს. ჩვენი მენშევიკები რუსეთს «ენგელსისებურად» მოაწყობენ. მაგრამ წინააღმდეგ რომ მოხდეს ესე იგი რუსები კი არ შემოვიდნენ დაჩაგრულ ერთა ფრანტში, არამედ დაჩაგრულერებს მოუხდეთ რუსისხალხის ანტიბონაპარტისტულ ფრანტში შესვლა. ამ საკითხზედ მემორანდუმი თვალსა ხუჭავს.

უმკითხავთ და უგამოსანთ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დამოუკიდებელ და თანამოქმედ მილიონიან რუსის ხალხს საქმე ისე არ წაუვა, რა რეჟიმის არ უნდა დამყარდეს მოსკოვში, რომ მენშევიკებისაგან შექმნილ «ნაპიონალურ დაავტონომიურ რესპუბლიკათა საერთო ფრანტში» შევიდეს. რაკი ქართველმა მენშევიკებმა ასეთ კომპრომისს მიაგნეს, უნდავიფიქროთ, რომ ობიექტიურიპირობები და იმავე მეორე ინტერნაპიონალის გავლენა აიძულლებს მათ, თომ რუსის ხალხის ანტიბონაპარტისტულ ფრანტში ისევ დაჩაგრული ერები შევიდნენ. ამ რიგად ქართველი მენშევიკები თითონვე და ამ თავითვე ახდენენ ამ ერების იდეურ და დემოკრატიულ ინკორპორაციას რუსეთში. ხოლო, ვინაიდან არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ რუსეთის დემოკრატია ვისმეს რამეს მისცემს—პოლიტიკურ და სახელმწიფო ინკორპორაციასაც.



ეს რომ ასე მოხდება, ამას მემორანდუმიცა გრძნობს ადამბობს:

«ჩვენი აზრით, თუ საქართველოს საკითხი ვერ გადაწყვედა საბჭოთა კავშირის შინაგან პროცესთან დაკავშირებით, იმედი გვაქვს, ინტერნაციონალური მხარს და გვიჭერს მის ერთა ლიგაში დასასმელათ და რუსეთის მთავრობის წინაშე ლიგაში მისალეებ პირობად წამოასყენებლად. ამ შემთხვევაში ჩვენ მოვითხოვთ სავალდებულო არბიტრაჟს საქართველო-რუსეთის ზორის კონფლიქტის მოსაგვარებლად»-ო.

აზრი ნათელია, მაშასადამე ჯერ რუსის ხალხის ანტიბონაპარტისტული ფრონტი და ლიმიტოფებთან ომი, ხოლო თუ ამან ვერ გასჭრა, მეორე ინტერნაციონალი და მისი ჯანი! ჯერ რუსეთის წამოყენება და იქ მაგარი მთავრობის დასმა და მერე მასთან ჩანჩლობა და «სავალდებულო არბიტრაჟი»! თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ტაქტიკა არ ახსოვს არც ერთი განთავისუფლებული ერის ბრძოლას! მენშევიკურ მემორანდუმს რომ ავეყვით, აქამდე ყოფილი ისტორიაც პროფანების ნაკეთები საქმე ყოფილა, გამოდის, რომ პელსუცის ჯერ კერენსკის მთავრობა უნდა გაემარებინა, ხოლო მასარიკს ავსტრო-უნგრეთის დემოკრატია და ისე მივლეთ თავისი ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობა.

ყოველივე ამის შემდეგ სხალხედ უსხადვისხდება, რომ მემორანდუმს საქართველო ისე რუსეთში მიჰყავს. მიჰყავს დემოკრატიზმის ფეტიშური მოსაზრებით, მაგრამ გამოიყვანს იქიდან სოცხალს და დამოუკიდებელს თუ არა—ამის გარანტიას არ იძლევა.

ან რა არის ეს რუსის დემოკრატია, რომელზედაც ქართველმა და სხვა ერებმა თავისი მომავალი უნდა დაამყარონ? თებურვლის რევოლუციის დროს ის იწყებოდა მილიუკ ვით და თავდებოდა დანითა და აბრამოვიჩით დღეს «ნოვოვრემილი» პროფესორ პილენკოთი იწყება და აბრამოვიჩამდისაც ველარ აღწევს. ეს უკანასკნელი, რომელიც ქართველი მენშევიკებისათვის ყველაზედ ახლო უნდა იყვეს, ისე სუსტია, რომ თავის თავს თითონ რისხავს საჯაროდ ამ დემოკრატიიდგან. აი ამით გამაჯგვებას უკავშირებს მემორანდუმი დაჩაგრულ ერთა მომავალს. მაშასადამე უკავშირებს ისეთ დემოკრატიას, რომელიც მუხუდოსავით დაიფანტა, ლენინი რომ გამოჩნდა! ვინ არის თავმდები რომ ისევე შეიკრიბება, «ბონაპარტი» რომ გამოჩნდება აი, ეს არა სწამთ იმ ერებს, რომლებსაც თავისი დამოუკიდებლობა სურთ. და არა სწამთ არა დემოკრატიზმისადმი მტრულის განწყობილებით, არამედ წარსული გაკვეთილების მიხედვით. ისტორია გვიჩვენებს, რომ რუსეთში ყველა რეჟიმა შესაძლებელი, მაგრამ არა დემოკრატიული ვიდრე დუმა არსებობდა—მეფე რეკავდა, როცა დამფუძნებელი კრება შესდგა—გარეკა ხალხმა! სად არის აქ დემოკრატია, დემოკრატიზმი, სად არის ნიადაგი ერთა დემოკრატიული მორიგებისა და





### განთავისუფლებისა.

ამ რიგად, ქართველი მენშევიკების რუსულ დემოკრატიის გეზზედ შედგომა ყოველივე ისტორიულ პერსპექტივას მოკლებული რაქტიკაა. ამაზედ უფრო სავალალო ის შთაბეჭდილებაა, რომელსაც მემორანდუმი იმ სახელმწიფოებზედ და მთავრობებზედ მოახდენს, რომელთა მნიშვნელობა აღმოსავლეთ ევროპის ბედის მოწყობაში უფრო მეტი იქნება, ვიდრე მეორე ინტერნაციონალისა და რუსეთის დემოკრატიისა. ისინი ანგარიშს გაუწევენ არა იმ «ჩახლართულ» აზრებს, რომელიც მემორანდუმში არიან და რომლითაც მემორანდუმის ავტორებს შინაურების გასულელება სურთ, არამედ მის იმ ერთად ერთს შინაარსს, რომ ქართველი მენშევიკები ამიერიდგან ისევ რუსულ იმპერიატორიას დაადგენ. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ამაჲ, შესაძლოა, სულ დაამზოს ევროპის სახელმწიფოთა თვალში.

თვით ქართველი ერისათვის კი, მემორანდუმი ძველი ისტორიის განმეორებაა. 1917 წელს ქართველი ბოლშევიკები გაიქცნენ რუსეთში მსოფლიო რევოლუციისა და სოციალიზმის სადიდებლად, დღეს ქართველი მენშევიკები მიიბიან დემოკრატიზმის სასახელოდ მაშინ ქართველი ბოლშევიკები დაბრუნდნენ რუსიას წითელი ჯარით და საქართველოს დამოუკიდებლობა დაამხეს, ხვალ მენშევიკები დაბრუნდებიან რუსიის ხალხის «ანტიბონაპარტისტული ფრონტი» და ესლა ისინი დაამხობენ საქართველოს, თუ ამ უკანასკნელში საქმე მათ უნებურად მოეწყო. როგორცა ხედავთ, ქართველი სოციალისტების ამ სირბილს საქართველოდგან რუსეთში და რუსეთიდან საქართველოში, მენშევიკები იქნებიან ისინი, თუ ბოლშევიკები, საქართველოს დამოუკიდებლობასთან და ერთა განთავისუფლებასთან საერთო არაფერი აქვს.

მით უფრო არაფერი აქვს საერთო მენშევიკური მემორანდუმის აზრებს ქართველი ერის იდეალთან, მის მტკიცე სურვილთან, რუსეთისაგან ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდეს. ერები განთავისუფლდები ნაჲ იმ პირობებში, რომლებსაც ისტორია სწორედ რუსეთის წინააღმდეგ წარმოშობს, ან რუსიის ხალხის ანტიბონაპარტისტული ფრონტი მათ ისეთსავე მონობას დაატეხავს თავზედ, როგორც ბოლშევიზმი. ასეთია ჩვენი ახლო მომავალი და ქართველი ერი გაჰყვება ამ გეზს და არა მენშევიკურ მემორანდუმს,

შ. ამირეჯიბი.





### რა შიგან ვართ

საქართველოს გარშემო დიდი მნიშვნელობის გარდაქმნა ხდება მეზობელ ერთა პოლიტიკურს სხოვრებში. ოსმალეთი სრულიად განთავისუფლდა უსხოთა ბატონობისაგან და შინაგან გამაგრებისა და ხალხოსნურ ძალთა ზრდის სტადიაში იმყოფება. სანამ ინგლის - საფრანგეთთან მოუგვარებელი საკითხები ბლომად ჰქონდა, ქემალის ცეზარისტული მთავრობა რუსეთთან უმჟიდროესს კავშირში იყო. ხოლო ზოგი ერთ მთავარ საკითხთა მოგვარებამ, მაგ. კილიკიისა და სამხრეთ საზღვრების შესახებ ერთგვარი მორიგებამ, შესაძლო გახადა ანგლისათვის, საგრძნობი შეტრიალება მოეხდინა პოლიტიკური გენისათვის ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენ, რას არა მარტო საფრანგეთისა და სხ. სახელმწიფოებთან პოლიტიკურს დაახლოვებაში გამოიხატა ზოგ კონრეტულ საკითხების გამო, არამედ მან ფართი ეკონომიური ხასიათის მიიღო. ეს დაახლოვება ლაქობს ოსმალეთისათვის საზოგადო ხასიათი მიიღოს პოლიტიკურ ეკონომიურ-ფინანსიურ ფარგლებში. ხალხის აღვიძება, აზიისათვის უსხო აჩქარებული ტემპო პოლიტიკური და ეკონომიური დაწინაურებისა და პტიური ამოქმედებისა ფართო მასებისათვის. განათლებისა, ცივილიზაციისა, გაევროპიელების ნიადაგზე, ჰქმნის დიდ ნაციონალიზმს, ჰბადებს იმედთან აღმადრენას ხალხში, წამაქეზებელ განწყობილებას ფართო მასების ფსიხიკაში. ფართო მასებთან გაგებელი გზათა გაყვანა, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ეკონომიური მიზნებიც აქვს და პოლიტიკურ-სტრატეგიულიც, შექენა და მოწყობა მრავალ ქარხნებისა და წარმოებათა სამხედრო საქმისათვის. ხელის შეწყობა და წამოწყება თითქმის ყველა დარგის მრეწველობისა, რომელსაც ეკონომიურ დამოუკიდებლობისათვის გადა მწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისე როგორც სამხედრო საქმისათვისაც, სხად ჰყოფს ოსმალეთის ეხლანდელ მესვეურთა მიზანდასახულობას, რომლის პირველი სტადია განთავისუფლების შემდეგ, ოსმალეთის სახელმწიფოერივ გამაგრებაში გამოიხატება: შინაურ მმართველობის პოლიტიკურ აპარატის მოდერნულად მოწყობა, სახალხო მეურნეობის აყვავება, თავდაცვის საქმის გამტკიცება ტენიკის უკანასკნელ სიტყვის წესზე, და ხალხის მასიური აღვიძება ნაციონალისტურ სულითა და მისწრაფებებით. პუბლიცისტები და მოაზრრენე პოლიტიკოსები ქემალის პირვანდელ პრაქტიკის საზომით არ გამოფილდებიან და ხალხს, ახალ ერს უფრო დიდ იდეას უსახვევენ მომავლისათვის. მაგ. ზია გიოლკ ალპ, უკანასკნელ წელს გადაცვალებული დიდი გემის ავტორია და ქემალის შემდეგ დიდი გზის მაჩვენებელი თურქ ერისათვის.

ოსმალეთის განთავისუფლება-გამაგრება და ერთვუნულ-ეთნიურ მასებთან გაფართოება-განსრულება, - ეს პირველი სტადიაა განვითარების ე. წ. თურქილიკ! შემოერთება-შეკავშირება-დარაზმვა სახელდო.





ბრ თუ იქებისა სათურქოს ტერიტორიაზე, ეროვნულ-კულტურულსა და სახელმწიფოებრივ-მილიტარულ ფორმებში. მეორე სტადია—ოღუზილიკი!—არის შეერთება უკვე გამტკიცებულ სათურქოსთან ყველა თურქების პროვინციათა, რომელნიც ეხლანდელ სათურქოს უშუალოთ ერტყმის მაგრამ პოლიტიკურად დიდ სამშობლოს მოვლელია. მაგ. მთელი აფერბაიჯანი კავკასიისა, სპარსეთისა და სხ.. ძმათა ამ შეერთებას ვერაღუდგება წინ ვერავითარი დაბრკალება, თუ ეროვნული შეგნება და მისწრაფებანი აწინდელი ტემპითი განვითარდა: თურქ ერის ამ აუსილებელ განვითარებას შეეწირება ყოველივე რაჰ მას მის ძლევა მოსილ მსვლელობაში ფეხ წამოსაკრავ ქვად დახვდება წინ! ხოლო ამ სტადიას უნდა მოჰყვეს შემდეგი, მესამე საფეხური განვითარების ე. წ. თურანჯილიკი! გაერთიანება ჩრდილო-სამხრეთ თურქებისა ერთ მთლიან თურქულ ოჯახში, თავდაცვისა და სახელმწიფოებრივად მტკიცედ მოწყობილ ორგანიზაციაში: ერთი ხალხი, ერთი ერი, ერთი სული, ერთი კულტურა, ერთი იდეია, რომლის გამოსახულება უნდა იქნეს ერთი სახელმწიფო ორგანიზაცია ეთნიურად უმტკიცესისა და უძველესისა, ვეებერთელა რასის. აი მიზანდასახულობა ეხლანდელ თურქულ შეგნებულ ელემენტებს: როდის მიაღწევენ თურანის შემოერთებას—ეს სულ სხვა საკითხია, არც აწუხებთ მათ დროის მანძილი და მისი სიდიდე. კავკასიის მანძილიანობის მფარველობას ანგორა თავის უწმიდეს მოვალეობად რაცხს და საამისო ნაბიჯები მოსკოვთან არა ერთჯერ აქვს გადადგმული. იქ იმან, რომ სამხრეთიდან ცალი თვალით კავკასიისაკენ იყურებიან და მეთვალყურეობენ, მანძილიანობა არ შეავიწროონო ტაქტიკის საკითხია, თუ გულმოდგინეობას თურქები კავკასიის სამხრეთ დასავლეთ ყურედან ამქლაგნებენ და ხანდახან ბრესტ-ლიტოვსკს გაახსენებენ მსმენელს. აქედან დაწყება ამჯობინეს, რადგან წაგებისა თუ მოგების ორთავ შემთხვევაში სახე ღდობრ თურქობას ყველაზე ნაკლები რისკი და განსაძილი ხეფება, კავკასიაშიც-ოსმალეთშიაც. საქართველოს სამხრეთით აღმართა ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც თავის მდგომარეობის ინტერესი აქვს ჩაერთოს, თავისი სიძლიერით შეუძლია ჩაერთოს საქართველოს პოლიტიკურ status ის ყოველგვარ ცვლილებების პროცესში; არ დაუშვას ეს უკანასკნელი, თუ მისთვის საზიანოა, ხელი შეუწყოს, თუ ეს ცვლილება მას ხელსაყრელად ეხატება. ე. ი. საქართველოს პოლიტიკური გარდაქმნა დამოკიდებულია ეხლ ამის ძლიერ მეზობლის ნება-სურვილზეც სამხრეთით.

მაგრამ გარდა ოსმალეთისა, დიდ ეროვნულ აღორძინების ხანაშია სპარსეთიც, რომლის დამოუკიდებლობა საკმარისად გამაგრდა და საერთაშორისო მდგომარეობა საგრძობლად გაუმჯობესდა უკანასკნელ წლებში. აქაც დიდი გეგმებია, ნახევრად განხორციელების სტადიაში უკვე გადასული; სახელმწიფოს გამაგრება თავდაცვის საქმის რადიკალურად მოწესრიგებით, გზათა საუბხოვო ქსელის გაბმით, როგორც სამხრეთ ისე ჩრდილო ნაწილებში. სრული განდევნა არაბული, უცხო ელემენტებისა



სწორების ყველა დარგიდან, მძლავრი ნაციონალიზმი, ეროვნული აღმა  
ფრენა რელიგიაშიც კი გადაის. ძარღვთა ინტენსიური დაქიშვა, სხ. შო-  
რის, თურქთა ჯიბრთობითაჲსა გამოწვეული. აქ უკვე პოლიტიკური მიზნე-  
ბით არიული თეორია შექმნეს: სომენ-სპარსთა კავშირა, რომელიც სომე-  
ხთა პოლიტიკურ მოღვაწეებმაც მიიღეს მგონი თავიანთის კონფერენცი-  
აზე. კავკასიის პოლიტიკური გარდაქმნა სასიამოვნო ინტერესს წარმო-  
ადგენს სპარსეთისათვის და ის ყოველ ზომებს ხმარობს მზად დახვდეს  
ყოველგვარ ახალ მოვლენას მის ჩრდილოეთით. ის მეთვალყურეობს კონ-  
ტროლის მიზნით, ჩარევის სურვილით, პრეტენზიათა გასამყდენებლად  
თუ დრო დადგა. — ამ ორ სახელმწიფოთა შორის გადაქიშულია კიდევ თავ-  
ვისუფალი ირაქი, რომლის დამოუკიდებლობა კიდევ უფრო განსრულდებ-  
და მომავალ წელში ინგლისის მანათის მოხსნით. როგორც აღუთქვამენ  
ირაქი ერთა ლიგაში შევა, სადაც მას სპარსეთი უკვე დახვდება და მალე  
აღბად ოსმალეთიც მიყობა. — ამ გვარად საქართველოს სამხრეთ მოაზ-  
ღვრე ეთა მძლავრი ნაციონალიზმი მტკიცე სახელმწიფოებრივ ფორმე-  
ბში ჩამოისხა და მაღალ ზღუდით აეჭიმა საქართველოს პოლიტიკურ სხო-  
ვრებას. საკითხია, მეზობელ ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნაცი-  
ონალიზმი დაჩრდილავს თუ იმედის სხივს მოჰყენს საქართველოსა და კა-  
ვკასიის პოლიტიკურ სწორებას? რაც არ უნდა მოხდეს უახლოეს მომე-  
ვალში, ერთი რამ სხადია: ერთა განთავისუფლება ევროპაში, ერთა და-  
მოუკიდებლობის იდეის გამარჯვება აზიაში (გაიხსენეთ — ოსმა ოეთი, სპა-  
რსეთი, ირაქი, არაბისტანი და სხ.) ერთა განთავისუფლებას, ამ დიადიდე-  
ას უკვე საყოველთაოდ ხდის მთელი კულტურული კაცობრიობისათვის  
(ჩინეთი). ამიტომ ეს ტალა არ აცდება, ამ ტალას ვერ აიძუნეს ვერც  
უკანასკნელი და ერთად ერთი კუთხე, სადაც თავი შენახა აქამომდე ერ-  
თა იძულებით და ძალით დამონაგების პრინციპმა — საბჭოთარუსეთი, რომ-  
ელიც სხ. მრავალ ერებთან ერთად საქართველო-კავკასიასაც იძულებითი  
ოკუპაციის წესით ფლობს. მაგრამ რაგინდ მძლავრი არ უნდა იყოს ეს გან-  
თავისუფლების ტალა, არის მრავალი მათეები, რომელიც ძალიან  
ართულებს საქართველო-კავკასიის განთავისუფლების საქმეს, გარეანული  
სა და შინაური ხასიათის. გარეგნულაა, რუსი ხალხის უძლიერესი ნაციონ-  
ალიზმი, ავღიქებული და აღტყინებული, სტიქიური, ანაწდელური, დაუნდ-  
გავ, ვნებებაშლილი, სასტიკი და მძინვარე. როგორც არ უნდა უყურებ-  
დეთ ეზლანდელს რევიმს რუსეთში, ერთი რამ უდავოა ყველა მოგზაურთა,  
გამოსდილ მეთვა ყურე პოლიტიკოსთა და პუბლიცისტთათვის, რომ რუ-  
სის მასა, მთელი გლეხობა, **Pebs**, ნაციონალისტურის, შოვინისტური  
სულისკვეთებითაა გაქდენილი, პატარა ერის მოძულე; არას დროს მაგ  
ანტისემიტიზმი არ ყოფილა ისე თავისუფალი და პოპულარული რუსეთში  
როგორც ეხლა. ანტისემიტიზმი კი მხოლოდ ერთი და ნაწილობრივი გა-  
მი სახულებაა შოვინიზმის. წრე გადასულ ნაციონალიზმის, არარუსთადმი  
მტრობის, მძულვარების. კიდევ მეტი იქნება ეს მტრობა, უფრო რვა-  
ლურ შედეგებს გამოიღებს ეს მძულვარება იმ პატარა ერთადმი, რომლის



სახელს ატარებს, ან ანიჭებს ეხლანდელ რეჟიმის ზოგ მოღვაწეთ, რომლებსაც ეს რეჟიმი შეიცვლება. ნათელი პოლიტიკური მიზანდასახულობა რუსის ხალხს ეხლა არა აქვს, ან და ის ნამეტანი ბუნდოვანია: ძნელია გარკვევა რუსის ხალხს აღმოსავლეთით უფრო გაიწეოს თუ სამხრეთით პოლიტიკურ კონსოლიდაციის დროს; საფრთხენი ორივე მხრივე საკმარისად მოზავებული. იმედი დასავლეთისაკენ ექსპანზიის, თუნდაც კომუნისტური გამარჯვებით, დიდი ხანია დაკარგულია: ფუჭეთ ჩაუარარუსეთსაგრეთვე მსდელიობამ, ექსპანზიის გეზი აღმოსავლეთში გადაეტანა, სწორედ ეს ჩინეთი უტევს აღმოსავლეთში მას, რომლის გაკომუნისტებით ახალი მოკავშირეს შოვნას ლამობდა მოსკოვი. საგარეო გამარჯვებაში რუსეთმა ვერ იხიერა და მისმა ჯარმა ახალი სენარი ვერ წარმოშვა. სამაგიეროდ შეუძლებელი არაა, რომ შინაურ პოლიტიკურ აწეწილობაში წითელმა ჯარმა თეთრი დიქტატორი შვას, რომელიც რუსის ნაციონალიზმს («აბჟოთა კავშირის») ერთა ზურგზე და ხარჯზე მოურიდებლად გააქანებს. ეს მით უფრო ადვილი იქნება რაც უფრო მოუზადებელი დახვდება ახალს სვლილებებს რუსეთში ესა თუ ის ერი. რუსული ნაციონალიზმის სწრაფი ზრდა და ეხლანდელი რეჟიმის შეცვლის აუცილებლობა, აი ეს ორი მომენტი, რომელსაც ერთხმად მოელის ყიველი მსოდნე და სერიოზული პოლიტიკოსი, რომელიც რუსეთს იცნობს. ეს ორი მომენტი კი ერთი მეორის დამხმარეა: ნაციონალიზმი მიისწრაფვის რეჟიმის გამოსვლისაკენ რუსეთში, რეჟიმის გამოსვლა სწრაფად გაზრდის ნაციონალიზმს, მისცემს მას სრულ თავისუფალ გამოსახულებას და დაუბრკოლებელ განვითარების საშუალებას. კრიტიკული ხანა ამ პროცესში ის ისტორიული წუთებია მხოლოდ, რომა გადატეხვა თუ გადატრიალება მოხდება, სულ ერთია ნაძალადევი იქნება ის თუ «ნება-ყოფლობითი».

შეიძლება ეს წუთები წლებად გადაიქცეს, კატასტროფა განაგრძო ვლეს, 1917-1918 წწ. განმეორდეს. მაგრამ ამ «იმედით» ვერვინ დარჩება თუ მას არ უნდა ილუზიებში ჩაიხრჩოს მოსალოდნელ შემთხვევაში. საკითხია შეიძლება კავკასია მზად იყოს, სწრაფად ისარგებლოს შემთხვევით პოლიტიკურის მიზნით თუ არა? შეიძლება მაგრამ ერთი დიდი დაბრკოლება: მთელს კავკასიაში ყველა ერები სეპარაციისაკენ მიიღტივან პარტიების განუზრჩევლად, მხოლოდ სომხებში მეტი გავლენა აქვს უკიდურეს რუსოფილურ მიმართულებას, რომლის მიზანია სომხის ერის გარუსება, რუსეთის ზღვაში გათქვეფა, სადაც სომხობის კვალი აღარ დარჩება. გაუგებარია, რადარიან ეს ელემენტები ასე დაინტერესებულნი სომხობის ისეთი დაგვარებაში, რომ მისგან კვალიც აღარ დარჩეს. მეორე მიმართულების ხალხი.— დამოუკიდებლობის მომხრეა, თუ რუსეთი აღარ იქნება კავკასიაში და ოსმალეთიც მოშორდება მის საზღვრებს. ერთი სიტყვით სომხობაში თვითგამორკვევს შეთანხმებული ერთი დასკვნა ჯერ არ გაუკეთებია. მაგრამ რადგან სომხეთის სათავეში ეხლა რუსოფილური ელემენტი ძლევს, საფიქრებელია, რომ ის კავკასიის თვითგამორკვევას ოპონიციში



ჩაუდგება, რადგან ამ ოპოზიციის ხელსაყრელად თავის სარგებლობას. ეს კი დიდი დაბრკოლებაა პოლიტიკურ განვითარებისათვის კავკასიაში. რადგან სომხობა მეტროპოლიტალია და აქტიური ამ დაბრკოლების გადალახვას შეეძლება კავკასიაში, სხვათაგან არ იყოს. მისთვის, რომ სომხობა ჩამოცილდეს რესპუბლიკურ (ანუ ნამდვილად) გარეგნობის პოლიტიკას (სომხობისთანა პატარა და გალახულ ერისათვის ორთავე პრაქტიკულად ერთი და იგივე გეოგრაფიულ-პოლიტიკურ მდგომარეობის გამო) საჭიროა პატრიოტულ ელემენტთა გამარჯვება სომხეთში, რაც მოხდება თუ ის ორი პირობა შესრულდა: რუსეთი მოშორდა, ოსმალეთი დასცილდა კავკასიას, ე. ი. არავითარი დიდი საფრთხე სამხრეთით არ ექნა. ეს შესაძლებელია ორნაირად: ოსმალეთის დახვეწილ ქვეით, სამხრეთისაკენ, ნეიტრალურ ზონის შესაქმნელად სომხეთის სამხრეთით, როგორც ისინი მითხროვენ და რაც ძნელი მისაღწევია; ან კიდევ კავკასიის ისეთი გამაგრება-განმტკიცება და გაძლიერება, რომ ეს საკმარისი საწინდარი იქნეს სომხობისათვის სხვათა მტრებისაგან. ცხადია, მინამ ეს მინიმუმი სომხობის თვალსაზრისით მიღწეული არაა, ის გაჩაღებებს ვერ ხელს, რომ მისი გეოგრაფიული მდებარეობა სხვათაგან ვაგლახად გამოყენებული არ იქნება. საკითხი რომ სათანადო ხაზზე დაესვათ უნდა ვიკითხოთ, რა აძლიერებს სომხობის უიმედობას კავკასიის განთავისუფლებაში და ამით რა ამტკიცებს რუსოფილობას სომხობაში? საგარეო პირობებს ჩვენ ვიცნობთ, ის უმეტესად ხელის შემწყობა სეპარაციისათვის. რუსის ხალხის პოლიტიკური მისწრაფება, ნაწილობრივ იმპერიალიზმი ხელის შემშლელია გამოცალკევების, მაგრამ მით უფრო ხელის შემწყობა სეპარაციის იდეალისათვის ფხიზელი სომხობა ამას უთქვამს გრძელს, მიზეზი მათი უიმედობისა, გასარუსებლად პესიმისტურ თავგადადებისა, მათი ოპოზიციისა კავკასიის ყველა ერთა პოლიტიკურ თვითგამორკვევისადმი, უნდა ვეძიოთ მათს შინაურს ვითარებაში. მთასა და აზერბეიჯანში შინაური ვითარება მეტკონსოლიდაციის სურათს იძლევა. სულ სხვაა საქართველო. გარეგნულად ყველაზე მეტ აქტიობას იჩენს სეპარაციისათვის ბრძოლის საქმეში. მაგრამ თავის შინაურ ვითარების მხრივ ის უდიდეს დაბრკოლებას წარმოშობს კავკასიის ერთა განთავისუფლებისათვის გადამწყვეტ მომენტში, უკეთუ მისი შინაგანი პოლიტიკის მრავალი ნაკლი დროზედ არ გამოსწორდეს.

საქართველოს შინაურ ვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი კავკასიისათვის, ამიტომ მას ვერცხად უნდა შევხვით. ამაზედ შევძღვ

ტიტე მარგველაშვილი.



## წერილი ბერლინიდან.

«ბრძოლის ხმის» 1-ლი ნომრის ანონიმმა წერილებმა გამოიწვიეს ჩვენი უღრმესი გულისწყრომა. ჩვენ მიგვაჩნია პატრიოტულ მოვალეობად ეს ჩვენი გულისწყრომა ქართველ ხალხს ვაცნობოთ:

«ბრძოლის ხმა» თავის თავს საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროს ორგანოს უწოდებს და ამით შთაბეჭდილებას ჰქმნის თითქოს ქართველ სოციალ-დემოკრატთა აზრს გამოსთქვამდეს. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ რომ ქართველ სოც დემოკრატთა დიდი უმრავლესობა სასტიკად დაჰკმობს იმ, ქართველ ერისათვის მეტად მავნე გზას, რომელიც ამ ფსევდო პატრიოტულ ორგანოს აუჩრევია.

შეუძლებელია სერიოზულმა პასუხის მგებლობის შეგნებით აღუწვრილმა პოლიტიკურმა პარტიამ იკისროს პასუხისმგებლობა ილია ზავჯავახის, ამ, ქართველი ერის უდიდეს მოღვაწის ასე უდიერად მოხსენებისა; შეუძლებელია მას სურდეს ქართველი ერის ო ბანაკად განეწიქა და სამოქალაქო ომის გაჩაღება; შეუძლებელია მის მიზანს საქართველოს უკეთეს შვილების დევნა შეადგენს. და ყველა ეს იმ დროს, როდესაც ქართველ ხალხის არსებობა უდიდეს ვანსაცდელშია.

«ბრძოლის ხმა» კი სწორედ ამას სჩადის. თვით სათაური წერილისა «ქართული რეაქცია» არის წმინდა პროვოკაცია, რომლის მიზანი სავსებით ცხელია: აამხედროს ქართველთა ერთი ნაწილი მეორეს წინამდებ. თვით წერილი კი, თუ ქართველი ერის მტრის შთავონებით არ არის დაწერილი, ყოველ შემთხვევაში, მთელი თავისი შინაარსით მის საქმეს ემსახურება. შემთხვევითი ჰბედავს და მეტად უდიერად იხსენიებს ილიას სახელს, რაც, ყოველ ეჭვს გარეშეა. გამოიწვევს ყოველი ქართველის, რა მიმართულებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, უდიდეს ადუღებას. ილია არ ეკუთვნის ქართველი ერის ამა თუ იმ ნაწილს, არამედ არის უუძვირფასესი განძი მთელი ერისა.

მაბეჭლარად და თითქმის მოლაღატედ სახავეს ზურაბ ავალიშვილს იმ ზურაბ ავალიშვილს, ურომლისოდაც საქართველოს საქმიანობა უუძნელეს დროს ევროპაში, სავსებით უთავბოლო იქნებოდა. ზურაბ ავალიშვილისთანა შვილით იამაყებდა სხვა ყოველი ერი.

მეორე ანონიმ წერილში: «ერთ ბანაკში» ავტორი სასაცილოდ იგდებს ჩოხოსნებს. ეჭვს გარეშეა მხედველობაში თავად-აზნაურობა ჰყავს. ის თავად-აზნაურობა, რომელმაც სრულის ნების ყოფით და საკუთარი ინიციატივით, ჯერ საკუთრება შესწირა ქართველ ერის თავისუფლებას, შემდეგ მზად იყო, შესაძლებლობა რომ მიეცათ, მტერს ბრძოლის ველზედ გმირულად შეჰკვდომოდა, და, ბოლოს წამება მიიღო ქართველთა მამაც სა-



ხელისათვის. ამ წერილების შემთხვევებმა და პასუხისმგებელმა რელიქსიამ კარგად უწყიან რომ ეს, სხვა ერთა ისტორიაში არ ცნობილი, ერთ სათვის წამებული და თავდადებული ქართველი თავად-ახნაურობა, უკვე ფიზიკურად არის ამოვლენილი და მას, სურვილის რომ ჰქონდეს, დღეს უკვე აღარ არსებულს. არ ძალუქს «რეკონსტრუქციის» მოხდენა. ხოლო, ამ წერილების ავტორთა სურვილი არის სამოქალაქო ომი და ამიტომ არ ინდობენ არც გმირთა საფლავებს, არც ცოცხალ პატრიოტთა სახელებს.

და ვინ ხადას ამას? ის, ვასაც შესტკივა გული, საქართველოს ბედისათვის? არა, ამის ჩადენი შეუძლიან მხოლოდ მას, ვინც პირადსარგებლობას გამოელის სამოქალაქო ომიდან.

ჩაოის ამას ის, ვისაც აქვს გრძნობა კარგისა და ცუდის განსხვავებისა? არა, ეს ის ჯგუფია, რომელმაც არა ერთხელ შეთხზა ცილის წამება უკეთეს პატრიოტთა წინააღმდეგ დაჩუმი წერილების საშუალებით და აბეზლა ქართველი ერის წინაშე, რათა თვით ამ ჯგუფის მიერ გამოწვეული განხეთქილება გააღრმავოს მოამზადოს ნიადაგი მისთვის სანატრელ სამოქალაქო ომისათვის.

ეს ის ჯგუფია, რომელსაც ვალად ედო ქართველ ერის ხელმძღვანელობა. მას უფლება არ ჰქონდა ამა თუ იმ პარტიის ინტერესების დამცველად გამოსულიყო, მისი ერთად ერთი მოვალეობა იყო ქართველ ერის გაერთიანება ერთად ერთ მიზნის მისაღწევად: ქართველთა მიწა წყლისმკარი საგან განთავისუფლება და მისი სუვერენობის აღდგენა. ყველა სხვა ჯგუფზედ მეტი დარბაისლობა, მეტი მიუღდომლობა მას მოეთხოვებოდა. ეს ჯგუფი კი სცდილობს შეიტანოს არეულობა არა მარტო, მისი აზრით მოწინააღმდეგე ჯგუფთა რიგებში, არამედ ქართველ ხალხის თვალში სახელს უტეხს იმ პარტიასაც კი, რომლის ვიწრო ინტერესების დამცველად იგი გამოდის.

ვასხადებთ ჩვენ უღრმეს აღშფოთებას და დარწმუნებული ვართ რომ ყოველი პატრიოტი ქართველი შემოუერთებს თავის ხმას ამ ჩვენს პროტესტს ან პრესის და ან საჯარო კრების საშუალებით.

ხელს აწერენ: გიორგი კერესელიძე.

ალ. ქორქია.

ნიკ. ნაკაშიძე

მ. წერეთელი

ტ. მარგველაშვილი

ქ. ბერლინი. 25-11-1929





## საქართველოს ისტორია პოლონურ ენაზე

გასულ წელს ვარშავაში გამოვიდა პოლონურ ენაზე ბ. ივ. ჯავთარაძის წიგნი «საქართველოს ისტორიული მიმოხილვა» (Gruzia iv zarisie isfury znym). ავტორი თავის შრომაში ეხება ქართულ ტომების ყოფა-ცხოვრებას უძველეს ეპოქაში, მათ თანდათანობითი მოძრაობას ჩრდილოეთისაკენ და შემდეგ კავკასიაში დაკვიდრებას და ათავებს უკანასკნელი ამბების აღწერით ვიდრე 1921 წლამდე. ამასთანავე ეხება კავკასიური ერებს იმდენად, რამდენადაც მათ დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოსთან წარსულ საუკუნეებში. მოცემულია ქართულ ტომების ბინადრობის და საერთოდ საქართველოს გეოგრაფიული სწორებები და ამიერ-კავკასიის რუკა. ეს 250 გვერდიანი წიგნი დამუშავებულია დიდი დაკვირვებით და შრომით მდიდარი მასალის შერჩევით, აზიურ, ევროპიელ და ქართველი მწერლების სწორებზე და გამოკვლევებზე. წიგნს დართული აქვს აგრეთვე ვარშავის უნივერსიტეტის სწორილ პროფესორ მარსელი ჰანდელსმანის წინასიტყვაობა. წიგნში მოთავსებულია საქართველოს ისტორიულ პიროვნებათა და მესამოსიანეთა მოღვაწეების სურათები და აგრეთვე ქართული მხატვრობის და ხელოვნობის ნიმუშები. ავტორი თავის შრომას უძღვნის პოლონეთის პირველ მარშალს პილსუდსკის, რომელმაც შექმნა პოლონელ ხალხის თავისუფლება და დღესაც ზღვმძღვანელობს მის სახელმწიფოებრივ საქეს.

ქართული კულტურის გავრცელების მიზნით პოლონურ ფართე საზოგადოებაში დღემდის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა. მმართველი წრეები კი საქართველოს იწინააღმდეგებდნენ მხოლოდ ცალმხრივი, მენშევიკური ინფორმაციით. ამ მხრივ ამ წიგნს დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს პოლონურ საზოგადოებას საქართველოს გასაცნობად. წიგნის გამოცემა დიდი ალტაყებით აღნიშნა პოლონურ საზოგადოებამ და ყველა გამოცემებმა უძღვნეს რეცენზიები. აღსანიშნავია ის სამწუხარო მოვლენა, რომ პოლონეთის ქართული კოლონიის ზოგიერთი პირების მიერ იყო ცდა ხელი შეეშალათ ავტორისათვის ამ წიგნის გამოცემისათვის. მაგრამ ვარშავის «ალმასავლეთის ინსტიტუტი» დახმარებით, რომელიც გამსჭვალულია ქართველი ერის სიმპატიებით, დაძლეულ იქმნა ყოველგვარი დაბრკოლებანი და წიგნს ეღიბა მზის სინათლე. ამ წიგნის გამოცემით დიდი კულტურული საქმეა გაკეთებული ემიგრაციაში და უნდა ვუსურვოთ ბ. ივ. ჯავთარაძეს კვლავ გააგრძელოს ამ მიმართულებით თავისი ენერგიული მუშაობა.


ჯორჯი.



## ქართველები გერმანიაში.

1922 წ. გერმანიაში არსებობს «ქართველ მოქალაქეთა საზოგადოება» საზოგადოებაში ზედიზედ ყველა გერმანიაში მყოფნი ქართველები. ამ საზოგადოების მიზნები იყო კულტურულ-ეკონომიური. უცხოეთში გადმობრუნებული ქართველები გაერთიანებული იყვნენ ამ საზოგადოებაში. ერთად უქმობდნენ ერთგულ დღესასწაულებს, ეწყობოდა მოხსენებები და მატერიალურად შევიწროვებულთ თავის თანამემამულეთ, შეძლების დაგეარად დახმარებას უწევდნენ. მაგრამ სამწუხაროდ როგორც ყოველთვის და ყველგან, მენშევიკებმა ეს საზოგადოებაც დაანგრეს. შემოიტანეს აქაც თავისი ჩვეულებრივი კინკლაობა და მითმასაც ბოლო მოუღეს. ვინაჟორდანია-რამიშვილის თაყვანისმცემელი არ იყო, მას დევნა დაუწყეს და თავისებურად ბინძური ჭორების გავრცელებას არ მოერიდნენ. ყოველ სახეიმი სწოდმაზე მოითხოვდნენ ჟორდანია-რამიშვილის მთავრობისათვის ერთგულობის დეპეშის გაგზავნას. როდესაც რამიშვილის სწობილი წერილები გამოქვეყნდა და საზოგადოების ერთმა ნაწილმა მოითხოვა რომ, ამის შესახებ აქ მუაჟ ქართველობას თავისი აზრი გამოეთქვა, განაცხადეს რომ მთავრობის კრიტიკის უფლება არავის არა აქვს ა. აძის შემდეგ მდგომარეობა უფრო გამწვავდა. საზოგადოებას სტოვებენ რამოდენიმე წევრი და მათ შორის ამ საზოგადოების დამაარსებელი ბ. ბ. გიგოლიასამიძე დაალქარქია. შექმნილმა მდგომარეობამ აძიულა გადამდგარიყო თავმჯდომარეობიდან ბ. გიორგი კერესელიძე, რომელიც რამოდენიმე წელი ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოებას და დაუფასებელი სამსახური მიუძღვისმისწინაშე. საზოგადოებაში დარჩნენ კიდევ რამოდენიმე პატივცემული წევრები, რომელთაც ეგონათ რომ მენშევიკებზედ გავლენის მოხდენა შესაძლებელი იყო. მაგრამ საქმეს ვერაფერმა უშველა, ვერც ამათმა გავლენამ და ვერც ელჩის ბ. ანბეტელის ცდამ, რომლის მიუდგომელ ი მოღვაწეობა, ყველას მიერ დაფასებულია. საზოგადოება მაინც დაინგრა. ამას წინად მოხდა არჩევნები და საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. მის. წულუკიძე, ეს სწობილი ემისარი მენშევიკებისა აფხაზეთში, რომლის მოღვაწეობა საერთო აღშფოთებას იწვევდა მაშინ. ეს ის მენშევიკი გახლავთ, რომლის მოქმედების შესახებ («ადმინისტრაციული წესით» კაცი მოკლა!) სოც-დერალისტებმა დამფუძნებელ კრებაში შეკითხვა შეიტანეს. მაგრამ მენშევიკებისათვის საზოგადოებრივი მორალი ხომ არ არსებობს. ამის შემდეგ ამ საზოგადოებიდან გამ ავიდნენ ყველა უპარტიონი, რომელთაც კიდევ იმედი ჰქონდათ მენშევიკების გამოსწორებისა და საზოგადოებაში კიდევ ირისებოდნენ. ამნაირად საზოგადოებაში დარჩენ მხოლოდ მენშევიკები და სამი ფედერალისტი, არც ერთი არა სოციალისტი ამ საზოგადოებაში არის. ეს გახლავთ რამიშვილის და მისიხალხის «გამაერთიანებელი მუშაობა.





## გამომცემლობისაგან.

ბ. ივანე ზურაბიშვილს განუზრახავს ზოგიერთი სადაო საკითხების გაშუქება გვაზავას გაზეთის ფურცლებზე და ამ მიზნისათვის მიუძღივებელ საპირთებად მიუხრწევია ჩვენი გამომცემლობის წინააღმდეგ შემდეგნა ირი გალაშქრება: «ეს წიგნი (ალ. ასათიანის «ძველი და ახალი მემკვიდრეობა») გამოვიდა ამა წლის ივნისის შუა რიცხვებში, თუმცა წიგნს 1928 წლის თარიღი უნის. ჩვენ გვინახავს, რომ წლის ბოლოს გამომცემულ წიგნს მამავალი წლის თარიღს უსვამენ. ეს მიღებულია, მაგალითად აქაურს ფრანგულს გამომცემლობაში; მაგრამ არასოდეს და არსად არ გვინახავს გამომცემა, რომელსაც წარსული წლის თარიღი ჰქონდეს აღნიშნული.

ჩვენ სავსებით გვჯერა, რომ ბ. ზურაბიშვილს არასოდეს და არსად უნახავს ასეთი შემთხვევა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი ამბავი მრავალი მომხდარა ქვეყნიერებაზე და ეს ლაპარაკი ხდება ყველა ქვეყნებში ათასობითა და ათი ათასობით. როდესაც წიგნის დასრულება ნავარაუდევია წლის დასასრულამდე, ხოლო რაიმე მიზეზის გამო მისი გამომცემა იგვიანებს და ახალ წელს გადააბიჯებს, სავსებით ბუნებრივად და სავსებით კანონიერად ის ატარებს იმ თარიღს, რომელიც აღნიშნული იქნება წიგნის პირველს რვეულზე. რომ ასეთი შემთხვევები უამრავია საგამომცემლო საქმეში ბ. ზურაბიშვილს ამის გაკება შეუძლიან ყოველს სტამბაში. ყოველს წიგნის მალაჩაში და ყოველს საგამომცემლო დაწესებულებაში. ასეთი მოვლენები, რამდენათაც ეს აუცილებლობის შედეგია, ჯერ გვინებ არავის მიუხრწევია საშიშროებად და ბოროტმოქმედებად. ხოლო რაც ქვეყნება ძველს წელში გამომცემულ წიგნისათვის ახალი წლის თარიღის მინიჭებას, რასაკვირველია არც ეს არის დიდი უბედურება, მაგრამ აქ მაინც უდავო სიყალბეა, თუმცა ესეც ხდება ხშირად და ის ბ. ზურაბიშვილსაც მოსაწონად მიაჩნია.

ალ. ასათიანის წიგნის პირველი რვეული დაიბეჭდა 1928 წლის ენკენისთვეში. თქვენებერში უნდა დასრულებულიყო მეორე რვეული და ეს იქნებოდა პირველი წიგნი. წინასიტყვაობაშიც ნათქვამია, რომ ის პატარა წიგნაკების სახით იყო განზრახული («გამოსაცემად ნაგულისხმე: წიგნაკებში» და სს.) და, რასაკვირველია უკვე პირველსავე რვეულზე აღნიშნა მაზინდელი თარიღი. შემდეგ უმოკლესად იქნა სწორილი რამოდენიმე წიგნაკის შეერთება და ფინანსიურ დაბრკოლებათა გამო, მისმა ბეჭედამ მარტამდე გასტანა. აპრილიდან წიგნი გამოვიდა, ხოლო მისი გამოსყიდვა ნაწილობრივ ხდებოდა ამავე მიზეზების გამო და წიგნიც ბევრს ივნისამდე და ივლისამდე არ ჩავარდნია ხელში. ბ. ზურაბიშვილს თავისი საგამომცემლო ავტორიტეტული სოდნა-გამოცემლობა შეძენილი აქვს უთუოდ მწვევიკურს სტამბაში, სადაც დასაბეჭდავ მასალაში ფულს კი არ ახდევინ



ნებენ, არამედ სასყიდელსაც აძლევენ. გამომცემლობა «საქართველო» გა-  
 სილებით უარეს პირობებში აწარმოებს საგამომცემლო საქმეს და ვფა-  
 ქრობთ, რომ უფრო ბუნებრივი იქნებოდა და ყვილასათვის უფრო გასაგე-  
 ბი, უკეთუ ბ. ზურაბიშვილი, თუ ის მეკობარია ბეჭდვითი საქმას. წამახა-  
 სებელი სიტყვით შეხვედროდა ამ ზომად მძიმე პირობებში ნაწარმოებ გა-  
 მომცემლობას და არა ზემოდ მოხსენებული ღვარძლიან შენიშვნებით.

გამომცემლობა «საქართველო»

---

«ახალი ივერია».

ამ მოკლე ხანში ვამოვა უსხოეთში მყოფ ახალგაზრდა ეროვნულ-  
 დემოკრატების ჟურნალი «ახალი ივერია»-ს შემდეგი ნომერი (N 3)

---

სარედაქციო კოლეგია.





ფასი 3 ფრანკი

